ახალი განათლება

2014 წელი, 4-10 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№37 (671) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია თეონა ვარშალომიძე, ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი თურქეთში

სტუდენტური წლების ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი ბიბლიოთეკაში გატარებული დროა

გვერდი 8-9

პროფესიული განვითარების ლაბორატორიის იუბილე

გვერდი 3

2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები სიახლეები (პროექტი)

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2015 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აბიტურიენტებს შემდეგ სიახლეებს სთავაზობს:

❖ 2015 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ არჩევით საგნად სამოქალაქო განათლებაც ჩააბარონ. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ საგნის სწავლება, IX-X კლასის ჩათვლით, სავალდებულოა, დამამთავრებელ კლასებში კი არჩევით საგნად ისწავლება.

❖ სიახლე იგეგმება გეოგრაფიის გამოცდაშიც: ტესტირებისათვის განკუთვნილი დრო 3 საათიდან 2.5 საათამდე შემცირდება. ტესტის მაქსიმალური ქულა იქნება 60 (ნაცვლად 70 ქულისა). ქულების შემცირება არჩევითი პასუხების მქონე კითხვებისა და ფიზიკური რუკის ანალიზის კითხვების ხარჯზე მოხდება.

❖ ისტორიის ტესტი 70-ქულიანი იქნება (ნაცვლად 80-ისა) და არ შეიცვლება გამოცდის ხანგრძლივობა (2 საათი და 30 წუთი).

❖ უცხოური ენის გამოცდაზე, მოსმენის ნაწილში, მოცემული იქნება 10 დავალება (ნაცვლად 8 დავალებისა). გამოცდაზე 15-16 წუთი იქნება გამოყოფილი იმისათვის, რომ აბიტურიენტმა მოისმინოს ტექსტი შესაბამის ენაზე და შემდეგ შეასრულოს მოცემული დავალება. მე-8 დავალება (გრამატიკა) შემცირდა და (14-ის ნაცვლად) იქნება 12 საკითხი.

❖ გარკვეული ცვლილებებია შეტანილი ბიოლოგიის ერთიანი ეროვნული გამოცდის პროგრამაშიც. 2015 წელს აბიტურიენტებს, საგამოცდო ტესტში, მიეწოდებათ ღია შეკითხვა, რომელზედაც პასუხი მოკლედ და ამომწურავად უნდა გასცენ.

შპს საერთაშორისო აკადემია

აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებსა და შესაბამის სპეციალობებზე:

1. მიმართულებათა შორისი დარგები ან სპეციალობების მიმართულებით:

პროფესორი **ტურიზმის** სპეციალობით – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **ტურიზმის** სპეციალობით – 3 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი **ტურიზმის** სპეციალობით – 2 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობის** სპეციალობით –1 ვაკანსია;
პროფესორი **საჯარო მმართველობის** სპეციალობით –1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **საჯარო მმართველობის** სპეციალობით – 2 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **საერთაშორისო ურთიერთობების** სპეციალობით – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **სოციოლოგიის სპეციალობით –** 1 ვაკანსია.

სოციალური მეცნიერებების მიმართულებით:
ასოცირებული პროფესორი **კულტურული მემკვიდრეობის** სპეციალობით – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **პოლიტიკის მეცნიერების** სპეციალობით – 2 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი **პოლიტიკის მეცნიერების** სპეციალობით – 1 ვაკანსია.

ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით:
ასოცირებული პროფესორი **ისტორიის** სპეციალობით – 1 ვაკანსია, ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **ეთნოლოგიის** სპეციალობით – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **ხელოვნებათმცოდნეობა/ხელოვნების ისტორიისა და თეორიის** სპეციალობით – 1 ვაკანსია.

სამართლის მიმართულებით:
ასოცირებული პროფესორი **სამართალმცოდნეობის** სპეციალობით – 2 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი **სამართალმცოდნეობის** სპეციალობით – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი **საჯარო სამართლის (მუნიციპალური, ადმინისტრაციული** და სხვ.) სპეციალობით – 2 ვაკანსია.

2. აკადემიურ თანამდებობა – ზეარჩევის პირობები

❖ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 6 წლის გამოცდილება;

❖ ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, არანაკლებ, 3 წლის გამოცდილება;

❖ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

❖ პროფესორი და ასოცირებული პროფესორი აირჩევა 4 წლის ვადით, ხოლო ასისტენტ-პროფესორი – 3 წლის ვადით.

3. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს, სავალდებულოდ:

❖ განცხადება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

❖ ავტობიოგრაფია (CV);

❖ პირადობის მოწმობის ასლი;

❖ 1 ფოტოსურათი, ზომით 3X4;

❖ უმაღლესი განათლების, აკადემიური ხარისხის ან სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

❖ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია, რომელიც ადასტურებს შესაბამის სპეციალობაში მის კომპეტენციას;

❖ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი ან ცნობა;

❖ შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსები ნაბეჭდი ან/და ელექტრონული ფორმით;

❖ განაცხადი, რომ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას ერთზე მეტ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დამატებით კონკურსანტს შეუძლია წარმოადგინოს

❖ სხვა სახის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები:

❖ სერტიფიკატები;

❖ ტრეინინგ-კურსების გავლის დამადასტურებელი საბუთი;

❖ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მოხსენებათა ჩამონათვალი, კონფერენციის პროგრამა, მასალები);

❖ საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომების/დისერტაციების ხელმძღვანელობა/რეცენზენტობა/ოპონირება);

❖ სამეცნიერო საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები.

4. კონკურსი გამოცხადდეს 2014წლის 4 დეკემბრიდან. საბუთების მიღება იწარმოებს ყოველდღე, **2015 წლის 6 იანვრიდან 14 იანვრის** ჩათვლით, **10-დან 18 საათამდე**, კვირისა და სადღესასწაულო დღეების გარდა, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვარკეთილის მასივი, VI კვ., კორპ.№6, TEL:+995 (32) 2762289, +9955 (77) 44 49 92.

საკონკურსო კომისიის სხდომა ჩატარდება **2015 წლის 16-17 იანვარს,** შედეგები გამოქვეყნდება **20 იანვარს.**

5. კონკურსანტთა განაცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღებას დადგენილ ვადებში უზრუნველყოფს საერთაშორისო აკადემიის კანცელარიისა და კადრების სამსახური.

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულაროობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, ულრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.



მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

3 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5.50 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

კონვენცია 25

ინოვაცია ყველა ბავშვისთვის – ხელახლა წარმოვიდგინოთ მომავალი

ლალი ჯელაძე

ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე წლისთავზე მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიში ადგენს გეგმას ცვლილებებისთვის.

„სასწრაფო მოქმედებაა საჭირო, რომ მილიონობით ბავშვი არ დარჩეს ინოვაციებით მოტანილი სარგებლის მიღმა“ – აღნიშნავს გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე წლისთავზე გამოქვეყნებულ ახალ ანგარიშში. ბავშვთა ფონდის თანახმად, კავშირებსა და თანამშრომლობას შეუძლია ახალი, გლობალური ქსელების სტიმულირება, რათა არსებული ინოვაციები ყველა ბავშვამდე მივიდეს.

ანგარიშში მსოფლიოს ბავშვთა მდგომარეობის შესახებ იუნისეფი მოუწოდებს მთავრობებს, განვითარების სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, ბიზნესმენებს, ადამიანის უფლებათა აქტივისტებს და თემებს, რომ ერთად იმუშაონ ახალი იდეებისთვის ბავშვების წინაშე მდგარი ყველაზე მწვავე პრობლემების გადასაჭრელად და ახალი გზების გამოსაძებნად, რომ საუკეთესო და პერსპექტიული ადგილობრივი ინოვაციები უფრო მასშტაბური გახდეს – *„ხელახლა წარმოვიდგინოთ მომავალი: ინოვაცია ყველა ბავშვისთვის.“*

ანგარიშში მრავალი წყაროდანაა შეკრებილი უახლესი ინოვაციები. ეს ერთგვარი ინტერაქტიული პლატფორმაა, რომელიც ასახავს ინოვაციების „რუკას“ სხვადასხვა ქვეყანაში, მსოფლიოს მასშტაბით, და მოუწოდებს ნოვატორებს, „ამ რუკაზე“ საკუთარი იდეები დაიტანონ.

„უთანასწორობა ისეთივე ასაკოვანია, როგორც კაცობრიობა, მაგრამ ასევეა ინოვაციაც და ამ უკანასკნელს კაცობრიობისათვის ყოველთვის პროგრესი მოაქვს, – ამბობს იუნისეფის აღმასრულებელი დირექტორი **ანტონი ლეიკი** – *სულ უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ადგილობრივ ინოვაციებს შეიძლება გლობალური გავლენა ჰქონდეთ და ყველა ქვეყანაში მოუტანონ სარგებელი ბავშვებს, რომლებიც ჯერ კიდევ ყოველდღიურად განიცდიან უთანასწორობას და უსამართლობას.* იმისათვის, რომ ინოვაციამ ყველა ბავშვს მოუტანოს სარგებელი, *ჩვენ კიდევ უფრო ინოვაციურები უნდა ვიყოთ – გადავსინჯოთ მეთოდი, რომლითაც ხელს ვუწყობთ და სტიმულს ვაძლევთ ახალ იდეებს ჩვენი უძველესი პრობლემების გადასაჭრელად. ყველაზე რთული გამოწვევების საუკეთესო პასუხი მხოლოდ ზემოდან მიღებული მითითებებით ან უშუალოდ ქვედა დონეებიდან არ მოვა, არც ქვეყნების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფთან. საუკეთესო გზა გამოჩნდება პრობლემების გადასაჭრელად შექმნილი ახალი ქსელებიდან და ინოვაციებზე მომუშავე საზოგადოებიდან, რომლებიც საზღვრებს მიღმა გადიან და აღწევენ სხვადასხვა სექტორში, რათა მისწვდნენ ყველაზე რთულად მისაღწევს. ეს პასუხები თავად ახალგაზრდებისაგან, მოზარდებისა და ბავშვებისგან მოვა.“*

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ბავშვის უფლებათა კონვენცია 1989 წელს მიიღო. მას შემდეგ უდიდესი პროგრესია მიღწეული ბავშვის უფლებათა გაუმჯობესების მხრივ – უზარმაზარი კლებაა ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელში და გაიზარდა წვდომა განათლებასა და სუფთა წყალზე. თუმცა, ყოველდღიურად ირღვევა მილიონობით ბავშვის უფლება. ამავე დროს, მსოფლიოს უღარიბეს ბავშვთა 20 პროცენტი, უმდიდრესი 20 პროცენტისგან განსხვავებით, ორჯერ მეტი ალბათობით, ვერ მიაღწევს დაბადების მეხუთე წელს. ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში თითქმის ყოველი მეოთხე ბავშვი ჩაბმულია ბავშვთა შრომაში და მილიონობით ბავშვი რეგულარულად განიცდის დისკრიმინაციას, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, შეურაცხყოფასა და უგულებელყოფას.

იუნისეფის ამ მნიშვნელოვანი ანგარიშის უახლესი გამოცემა აცხადებს, რომ ისეთმა ინოვაციებმა, როგორიც იყო ორალური რეჰიდრატაციული მარილები ან მზა სამკურნალო საკვები, ბოლო 25 წლის განმავლობაში, რადიკალური ცვლილებები მოიტანა მილიონობით ბავშვისთვის. ანგარიში, ასევე, მიიჩნევს რომ ძალიან მნიშვნელოვანია კიდევ მეტი ინოვაციური პროდუქტი, პროცესები და პარტნიორობა, რათა დაცული იყოს ყველაზე რთულად მისაწვდომი ბავშვების უფლებები. ციფრული ანგარიში მოიცავს მულტიმედიას და აქვს ინტერაქტიული შინაარსი, რომელიც მოუწოდებს მკითხველს, გაუზიაროს სხვებს საკუთარი იდეები და ინოვაციები. ანგარიში აშუქებს ისეთ მნიშვნელოვან ინოვაციებს, რომელთაც უკვე გააუმჯობესეს ცხოვრება, მსოფლიოს მასშტაბით, მრავალ ქვეყანაში. მათ შორისაა:

– **სოლარული ყური** – სმენის აპარატის, მსოფლიოში პირველი, განახლებადი ბატარეის დამტენი. შემუშავებულია იმ თემებისთვის, რომელთაც არ აქვთ რეგულარული წვდომა ელექტროენერგიაზე. შეიძლება დაიტენოს მზის ენერგიით, სახლის შუქზე ან მობილური ტელეფონის დამტენით (**ტენდეკაი კაციგა**, დეფტრონიკს, ბოცვანა/ზიმბაბვე);

–**კვების მწვავე დეფიციტის/მალნუტრიციის თემზე დაფუძნებული მართვა (CMAM)** – ზრუნვის ეს მოდელი სტაციონარული, სამკურნალო კვების ცენტრების ტრადიციული, ძვირადღირებული, დაბალი დაფარვის მოდელისკენ იხრება, რომელსაც დაწესებულებები მართავენ და სანაცვლოდ, ადამიანებს საკუთარ სახლში, ადგილობრივი კლინიკების დახმარებით და მზა სამკურნალო საკვების გამოყენებით, მკურნალობენ (**სტივ კოლინზი**, VALID Nutrition-ის თანადამფუძნებელი და დირექტორი);

– **ებოლას კრიზისის პირობებში, ლიბერიელი ახალგაზრდების ჩაბმის საშუალება U-report-ის მეშვეობით**, რაც მობილურ ტელეფონზე დაფუძნებულ სისტემას წარმოადგენს და ახალგაზრდებს ეხმარება, გაიგონ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები (იუნისეფი, ლიბერია);

– **„მოტივტივე“ სკოლები**, რომლებიც მთელი წლის მანძილზე უზურნველყოფენ განათლების ხელმისაწვდომობას ბანგლადეშის წყალდიდობის რისკის ქვეშ მყოფ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის (**მოჰამედ რეზვანი**, არასამთავრობო ორგანიზაციის Shidhulai Swanirvar Sangstha დამაარსებელი და აღმასრულებელი დირექტორი);

– **ვაიბრაზორი** – ორი კოლუმბიელი მოზარდი გოგონას მიერ გამოგონილი მოწყობილობა, რომელიც ეხმარება სმენადაქვეითებულ ადამიანებს უსაფრთხო გადაადგილებაში გადატვირთულ ურბანულ რაიონებში (**ისმარ კართაგენა, კატერინა ფერნანდესი**);

– **შარდზე მომუშავე გენერატორი** (ნიგერია) – ოთხმა მოზარდმა გოგონამ იმ ადამიანთა დასახმარებლად შექმნა, ვისაც ნიგერიაში რეგულარულად არ მიუწვდება ხელი ელექტროენერგიაზე;

„ბევრი ახალგაზრდა გამომგონებელია მთელ მსოფლიოში – ყველაზე შორეულ კუთხეებშიც კი, ვინც ვალდებულებას იღებს შეცვალოს მსოფლიო ბავშვებისთვის“ – ამბობს **ბისმან დეუ**, 16 წლის ახალგაზრდა ჩანდიგარიდან, ინდოეთიდან, რომლის გამოგონებაა – **ბრინჯის ნარჩენებისგან შექმნილი სამშენებლო მასალა**.

„ყველა ქვეყანას განსხვავებული პრობლემები აქვს და ყველა ადამიანი თავისებურად აგვარებს ამ პრობლემებს – აღნიშნავს დეუ – *ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთის გამოცდილებიდან, გავერთიანდეთ, როგორც ინოვაციების გლობალური საზოგადოება და წარმოვშვათ იდეები, რომლებიც რეალურ ცვლილებას მოიტანს.“*

იუნისეფმა ინოვაციებს, თავისი 190-ზე მეტი ქვეყნისგან შემდგარი ქსელით, პრიორიტეტი მიანიჭა და შექმნა მთავარი ელექტრონული გვერდები მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის: ავღანეთში, ჩილეში, კოსოვოში, უგანდასა და ზამბიაში, რათა ხელი შეუწყოს აზროვნების, მუშაობისა და პარტნიორებთან თანამშრომლობის ახალ სტილს და წარმოაჩინოს ადგილობრივი ტალანტები.

* * *

„აქტიური საუბრების“ ფარგლებში, რომელიც მსოფლიო მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა საინტერესო და ინოვაციური იდეების შეკრებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების უფლებების დასაცავად, „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ წარმომადგენელმა, **გიორგი დემეტრაშვილმ**ა ძალიან საინტერესო და სახალისო ინოვაცია შესთავაზა საზოგადოებას – **„სათამაშოები განვითარებისთვის“**: *„სათამაშო ინდუსტრიის მესვეურები დიდი ხანია მიხვდნენ, როდესაც ბავშვი თამაშში წარმატებას აღწევს, მეტი და მეტი თამაში უნდება. ამიტომაა გაჯეტების ბიზნესი წარმატებული, განათლების ინდუსტრიაში კი ჯერჯერობით ვერ მივმხვდარვართ, რომ, რაც უფრო წარმატებულია ბავშვი, მით უფრო ნაყოფიერად სწავლობს. ამიტომ „გადაბარგდნენ“ ბავშვები თამაშის სამყაროში. ასე რომ არ მოხდეს, სახლშიც უნდა ვიპოვოთ ადგილები, სადაც ჩვენც და ბავშვებიც წარმატებულები ვიქნებით. უმთავრესი ამოსავალი არის ის, თუ რა მოსწონს მას, რა ინტერესები აქვს. ამის შემდეგ ნელ-ნელა უნდა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, როგორ შევუწყოთ ხელი ბავშვის ამ ინტერესების ძიება-განვითარებას. არ დაუმალოთ მათ ნივთები, რომლითაც თამაშობენ, თუნდაც სამზარეულოს ნივთები. მოდი, ხელი შეუწყვეთ იმას, რომ ბავშვებმა თვითონ აღმოაჩინონ სათამაშოები, გიკარნახონ, რა არის მათთვის საინტერესო და იქ იყავით იმ მომენტში, იმ აღმოჩენის, სიამოვნების პროცესში და მასთან ერთად გაიზიარეთ ეს. ასე ძალიან ბევრ სათამაშოს აღმოაჩენთ. შეიძლება ბავშვმა ქაოსი შექმნას იმ ნივთებით, რომლითაც თამაშობს, მაგრამ არ შეშინდეთ, ეს ქაოსი აუცილებლად დალაგდება და, რაც მთავარია, ქაოსი ძალიან ბევრ დადებით ემოციას მისცემს მას. მეტიც, ეს ბედნიერების განცდას მოუტანს ბავშვებს. შეიძლება ბევრი ძვირადღირებული სათამაშოც კი უყიდოთ ბავშვებს, მაგრამ ამით ვერ დაინტერესოთ, მას საკუთარი გზა და ხედვა აქვს, როგორ გაერთოს. ძალიან მნიშვნელოვანია მიყვეთ მას – თამაშის მთავარი შედეგი ხომ ის ემოციებია, რომელიც ბავშვსაც დადებითად მუხტავს და თქვენც.“*

ვიქტორინა

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ აგრძელებს ვიქტორინას

„წაიკითხე, უპასუხე, დასვი კითხვა“

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველო,

ამჯერად კიდევ ერთი კარგი ქართველი მწერლის, **ერლომ ახვლედიანის** მოთხრობას გთავაზობთ, სახელწოდებით – **„შურიანი კაცის ამბავი“**.

დარწმუნებული ვართ, ამ პატარა მოთხრობის წაკითხვა დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

თუ გაგიჭირდათ წიგნის მოძიება, შეგიძლიათ ინტერნეტგვერდზე – http://lib.ge/ – წაიკითხოთ.

შეგახსენებთ, რომ ვიქტორინას **ერთადერთი პირობა** აქვს – **კონკურსანტი სკოლის მოსწავლე უნდა იყოს.**

პასუხები შეკითხვებზე გამოგვივზავნეთ მისამართზე – viqtorina.sssef@gmail.com

პასუხების გარდა, მონაწილეს შეუძლია, ნაწარმოების ირგვლივ, კითხვები **„რა? სად? როდის“** ფორმატში თავადაც დასვას. თუ გაგიჩნდებათ კითხვა „რა? სად? როდის?“ ფორმატის შესახებ, დასაზუსტებლად ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სატელევიზიო გადაცემის ვებგვერდზე – http://www.gametv.ge/„გამოგვიგზავნე კითხვა“; „10 რჩევა ავტორებისათვის“ – რომელიც სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოიყენოთ.

შეკითხვები ნაწარმოებიდან „შურიანი კაცის ამბავი“ გამოქვეყნდება 11 დეკემბერს.

ПРОЕКТИС ПАРТНИОРЕБИ АРИАН:

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, პოეტი, ესეისტი – **გიორგი კეკელიძე**;

საინფორმაციო მხარდამჭერია გაზეთი „ახალი განათლება“, რედაქტორი – **მარიკა ჩიქოვანი**;

სატელევიზიო გადაცემა **„რა? სად? როდის?“**;

„საქართველოს ოლიმპიური კლუბი“, პრეზიდენტი – **კახი კახიაშვილი.**

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ წარმატებას გისურვებთ.

კონფერენცია

პროფესიული განვითარების ლაბორატორიის იუბილე

ლალი თვალაგეიშვილი

10 წელია, რაც ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიურ სკოლაში (დირექტორი – **მაია ლაგვილავა**) პედაგოგთა პროფესიული განვითარების ლაბორატორია მუშაობს. 7 წელია, პედაგოგთა პროფესიული განვითარების ლაბორატორიას **მანანა ბოჭორიშვილი** ხელმძღვანელობს. საიუბილეო თარიღს მიეძღვნა მასწავლებელთა კონფერენცია, რომელზეც პედაგოგებმა მათ მიერ მომზადებული დამხმარე სასწავლო რესურსები – პოსტერები, წიგნები, თემატური გზამკვლევები, სამუშაო რვეულები, მულტიმედიური პრდუქტები და ა.შ. – წარმოადგინეს, რომლებიც საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, პროფესიული განვითარების ლაბორატორიის ბაზაზე შეიქმნა. ყველა პრეზენტაცია კონკრეტულ რესურსზე იყო მიბმული, რამაც მოხსენებები მსმენელთათვის უფრო საინტერესო და თვალსაჩინო გახადა.

მოწვეული იყვნენ: აკადემიური წრეების წარმომადგენლები – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (რომელთანაც სკოლა აქტიურად თანამშრომლობს), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ხარისხის მართვის სამსახური, გამომცემლობები და კერძო სკოლები.

მანანა ბოჭორიშვილი, პედაგოგთა პროფესიული განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი: *„2014 წელი საიუბილეო წელია, ჩვენს ლაბორატორიას 10 წელი შეუსრულდა. რადგან კონფერენცია საიუბილეო იყო, გადავწყვიტეთ სკოლაში ჩაგვეტარებინა. ჩვენი დარბაზის სივრცე თავისუფალი დასწრების საშუალებას არ გვაძლევდა (შარშან ჩვენი სკოლის მასწავლებელთა კონფერენცია მასწავლებელთა სახლში ჩატარდა და იქ თავისუფალი დასწრება გვქონდა, რადგან ფართი იძლეოდა ამის საშუალებას). მოსაწვეევები დავუგზავნეთ კერძო სკოლებს, რომლებიც მოsკლეტული არიან ამ ტიპის კონფერენციებში მონაწილეობას. როგორც წესი, სამინისტროს მიერ ორგანიზებული კონფერენციები უმეტესად საჯარო სკოლების მასწავლებელთათვისაა ხელმისაწვდომი. ამიტომ ჩვენი სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა კერძო სკოლების ასოციაციისთვის მიემართა და მოგვეწვია კერძო სკოლები, ასევე სკოლები, რომლებთანაც ვმეგობრობთ და ვთანამშრომლობთ.*

ვფიქრობდით, რა ყოფილიყო კონფერენციის თემატიკა და კონცეფცია – გადაწყდა აქცენტი 2013-14 სასწავლო წელს, მასწავლებელთა მიერ, საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესებისთვის შექმნილი და გამოყენებული პროდუქტების პრეზენტაციაზე გაგვეკეთებინა. ყველაფერი გამოფენილია და სტუმრებს შესაძლებლობა აქვთ, უშუალოდ გაეცნონ წარმოდგენილ რესურსებს და თან პრეზენტაციებს მოუსმინონ.

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენი სკოლა უშვებს მეთოდური მასალების თემატურ ანთოლოგიას, რომელშიც ჩვენი მასწავლებლების უკვე გამოქვეყნებული სტატიები („ახალ განათლებაში“ და maswavlebeli.ge-ზე) იბეჭდება. სკოლის ბაზაზე არსებული ლაბორატორიის საქმიანობა სამ მოთხოვნაზე დგას – სკოლის საჭიროება, მასწავლებლის საჭიროება და სახელმწიფოს დაკვეთა.“

კონფერენციაზე ყველა საგნობრივი კათედრა იყო წარმოდგენილი, პრეზენტაციები მრავალფეროვანი და საინტერესო თემატიკით გამოირჩეოდა, ზოგიერთ შემთხვევაში – ინოვაციურიც კი იყო.

„ქიმიის სწავლებაში ტექნოლოგიების დანერგვა“

ზაირა ბესტავაშვილი – საბუნებისმეტყველო კათედრა: *„ქიმსკეჩი სპეციალური პროგრამაა, რომელშიც გაადვილებულია ყველა იმ საკითხის შესწავლა, რომლის ცოდნაც მოეთხოვება მოსწავლეს. როდესაც ამ პროგრამის შესახებ შევიტყვე, გადავწყვიტე, ქიმიის გაკვეთილებზე გამომეყენებინა. პედაგოგები მუდმივად ვეძებთ ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც საგნის სწავლებას გაგვიმარტივებს.*

გავიარეთ ტრენინგები, პროგრამა ქიმსკეჩი ძალიან მოგვეწონა და გადავწყვიტეთ ჩვენი მოსწავლეებისთვის გაგვეცნო. მოვამზადეთ მოკლე გზამკვლევი, რომელშიც მოცემულია მიზნები და ორი ნაწილისგან შემდგარი ფაილები: ვერბალური ნაწილი – ინსტრუქცია, როგორ მოიქცეს პროგრამის მომხმარებელი და ვიზუალური ფანჯარა – პრაქტიკულად როგორ შესრულდეს ესა თუ ის ოპერაცია. ორგანულ ქიმიაში ძალიან ბევრი ნივთიერებაა, 5 მილიონზე მეტი, უმრავლესობას ძალიან რთული ფორმულები აქვს, დასაწერადაც დიდ დროს მოითხოვს და ისედაც რთულია. ამ პროგრამას მზა ფორმულების ბაზა აქვს, მოსწავლე გამოიძახებს რა ნივთიერებაც უნდა და ნებისმიერ ოპერაციას შეასრულებს. ყველა ნითიერებას თავისი თვისებები აქვს და მოსწავლეებს უჭირთ ამ თვისებების დამახსოვრება, პროგრამაში ყველა ნივთიერებაზე ყველა პარამეტრია მოცემული – სიმკვრივე, ფარდობითი ატომური და მოლეკულური მასა, თითოეული ელემენტის წონა, მასური წილი და ა.შ. ქიმსკეჩის დახმარებით იოლია რთული გარდაქმნების შესრულება. ყველაზე მეტად რაც ახალისებთ ბავშვებს, ეს არის 3D-ში წარმოდგენილი ფორმულები – როცა მოლეკულა ტრიალებს და თვალნათლივ ჩანს მისი სრული აღნაგობა, ორმაგი თუ სამმაგი ბმები, რაც ვიზუალურ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეს და კარგად ამახსოვრდება. ქიმსკეჩს დიდი შესაძლებლობები აქვს. როგორც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ვორდის ფაილებისგან შექმნას საქაღალდე, ასევე შეუძლიათ მოსწავლეებს ქიმსკეჩის დახმარებით შექმნან საკუთარი საქაღალდეები, რომლებშიც მარტივად იმუშავებენ.“

„უზნაძის კონცეფცია ლიტერატურის სწავლებაში ანუ განწყობა, როგორც მთავარი პარადიგმა“

ეკა ჭკუასელი – ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა: *„ჩვენი რესურსი, ძირითადად, დამატებით საკითხავ ლიტერატურას ეხება, რომელიც, საზაფხულო არდადეგებზე და შემდგომ თვეში ერთხელ დაგეგმილ გაკვეთილზე, კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობას გულისხმობს. მაგალითად, მოგეხსენებათ, მეთორმეტეკლასელები გადიან გურამ დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა“. იქ, ლიტერატურის მაგიური ძალის დასადასტურებლად, უამრავი მწერალია ჩამოთვლილი, რომელთა უმეტესობას ბავშვები არ იცნობენ, რადგან სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ არის. სწორედ ამ ნაწარმოებებს ვაცნობთ ბავშვებს, რომ აღარ გაუჩნდეთ შეკითხვა, ვინ არის ეს მწერალი. წელს სწავლების ზედა საფეხურზე ავირჩიეთ კორტასარი. შესაბამისად, უფროსკლასელებს დავალებად ეძლევათ ამ მწერლის მოთხრობების წაკითხვა. წაკითხულის ირგვლივ მსჯელობისთვის, საგანგებოდ, ერთი დღეა გამოყოფილი. ამ დღეს მოსწავლეებს სრულ თავისუფლებას ვაძლევთ, ყველა აზრი მისაღებია, არ ვიყენებთ „წითელ კალამს“ და არ ვართ ჩვეულებრივი მენტორი მასწავლებლები, შეიძლება ითქვას, რომ უფრო „პროვოკატორები“ ვართ და გაკვეთილი ძალიან საინტერესო გამოდის. ვფიქრობ, წიგნიერების თვალსაზრისით, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. დღეს წარმოდგენილი გვაქვს ბავშვების ვარიანტები.“*

„ლოგიკური ამოცანების ტიპები და მოსწავლის აზროვნების განვითარების ასაკობრივი თავისებურებები“

მანანა თოფურია – მათემატიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების კათედრა: *„ჩვენი სკოლის დაწყებითი კლასებისთვის ლოგიკის დამატებითი რვეული შევქმენით. იკვეთება, რომ მოსწავლეებს ცოტა უჭირთ ლოგიკური აზროვნება, ცოდნის დაგროვება უფრო ადვილია მათთვის, ვიდრე მერე ამ ცოდნის გამოყენება. ეს დამხმარე რესურსია, რომელიც შევიმუშავეთ მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების დონის ასამაღლებლად. იანვრიდან დავიწყებთ სასწავლო პროცესში გამოყენებას.*

რვეული სამნაწილიანია, პირველი ნაწილი უკვე მზად არის, უახლოეს მომავალში მეორე და მესამე ნაწილებიც იქნება. პირველი ნაწილი უფრო მარტივი სავარჯიშოებისგან შედგება, 10 გაკვეთილს პატარა ტესტი მოჰყვება, ასევე იქნება აგებული მეორე და მესამე ნაწილებიც, ოღონდ დალაგებული იქნება სირთულის მიხედვით.“

„საბუნებისმეტყველო საგნებში ტესტების კრებულის შექმნის მეთოდოლოგიური ასპექტები“

მაია ცინცაძე – საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა: *„ჩვენი სკოლის საბუნებისმეტყველო კათედრამ მოამზადა ტესტები და სავარჯიშოები საატესტატო გამოცდებისთვის, რომელიც VII-XII კლასებს მოიცავს – ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია. ეს კრებული გამოადგებათ როგორც პედაგოგებს შემაჯამებელი სამუშაოების ჩასატარებლად, ასევე მოსწავლეებსაც, რომლებიც საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის ემზადებიან. ტესტები რამდენიმე სახისაა – არჩევითდაბოლოებიანი, ღიადაბოლოებიანი, ჭეშმარიტია/მცდარია და ა.შ. კრებულზე მუშაობის პროცესში, ჯერ დავგეგმეთ სქემა, როგორ შეგვექმნა ტესტები, შემდეგ, გეგმის მიხედვით, ტესტებმა პილოტირება გაიარეს ჩვენს სკოლაში. პილოტირების შემდეგ, მივმართეთ გამომცემლობა „უსტარს“ და ჩვენი კათედრის გამგის, მანანა ბოჭორიშვილის თანადგომით, გამომცემლობა „უსტარმა“ მიიღო მონაწილეობა ჩვენს პროექტში და დაიბეჭდა კრებულები, რომელთა პრეზენტაციასაც ვახდენთ დღეს.“*

„ბიოლოგიის სწავლებაში სწავლებისა და შეფასების ფუნქციის მქონე მულტიმედია რესურსის შექმნის მნიშვნელობა“

მარინა ხომასურიძე – საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა: *„ეს მულტიმედიური სასწავლო რესურსი საგაკვეთილო პროცესის უფრო ეფექტურად გამოყენებაზეა გათვლილი და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ერთ გაკვეთილში გაიმეორონ განვლილი მასალა, აითვისონ ახალი და მოახდინონ თვითშეფასება – როგორ გაიგეს ახალი მასალა, როგორ იციან განვლილი. ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მოსწავლეთა თვითშეფასება, ასევე, რა თქმა უნდა, მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის შეფასება – იმ შედეგამდე მისვლა, რომელიც გაკვეთილის დასაწყისში დაისახა. თემა არის „მიტოზი და მეიოზი“, რომელიც საკმაოდ რთულად გასაგებია ბავშვებისთვის და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, შემექმნა სასწავლო რესურსი, რომლითაც მოსწავლეებს თემის აღქმას გავუადვილებდი. როგორ გამომივიდა, ამას უკვე აუდიტორია შეაფასებს. პრეზენტაცია power point-ში მაქვს მომზადებული და გაკვეთილიც power point-ში ტარდება, რომლის შესაძლებლობები საკმაოდ მრავალფეროვანია. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებისთვის ეს პროცესი ძალიან სახალისოა, განსაკუთრებით ბოლო ეტაპი, როდესაც თვითშეფასებას ახდენენ, გაკვეთილი თამაშსაც ემსგავსება და, იმავდროულად, შედეგსაც ვაღწევთ.“*

„ტექსტის გააზრება დიორამებით“

ინგა თეთრაძე – დაწყებითი საფეხურის კათედრა: *„ბოლო წლებში, საქართველოში, ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ წიგნიერების დონე ამაღლებულიყო, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე მივხვდით, რომ აუცილებელი იყო რაღაც სიახლე, განსხვავებული იდეა, რომელიც შემდეგ ქმედებაში გადავიდოდა. პატარებთან ერთად, პირველად, დავიწყეთ კონტურების კეთება, აბზაცების ზღაპრების მიხედვით დალაგება, მერე აპლიკაციები დავამზადეთ, ცოტა უფრო წინ გადავდგით ნაბიჯი და მეტი მოგვინდა... ბოლოს იქამდე მივედით, რომ ე.წ. დიორამები გავაფორმეთ, რომლებიც, ვფიქრობ, ძალიან დიდი საჩუქარია პატარებისთვის. მსგავსი რამ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში არ არსებობს და მგონია, რომ ძალიან გაახარებს ყველა პატარას. ნაწარმოებები ასაკის გათვალისწინებითაა შერჩეული, მასალა სახელმძღვანელოებიდანაა შეჯერებული და დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ. ზოგიერთი ნაწარმოები ორი დიორამისგან შედგება, ზოგი – სამი და ა.შ. ბავშვები ძალიან დიდი ხალისით მუშაობენ დიორამებზე. წიგნმა პილოტირება გაიარა ჩვენს სკოლაში და შედეგიც სახეზეა.“*

კონფერენცია

„იტალიური ენის სწავლების მეთოდოლოგია და სასკოლო სახელმძღვანელოები“

რუსუდან ყოინაშვილი – იტალიური ენის კათედრა: *„იტალიური ანბანი, რომელსაც სკოლაში წლების განმავლობაში ვიყენებთ, ჩვენს სკოლაშივე შეიქმნა. თავის დროზე, ჩვენი სკოლა, შეიძლება ითქვას, ცარიელ ადგილზე დაარსდა – არ არსებობდა იტალიური ენის სწავლების მეთოდოლოგია და ანბანიც კი არ გვქონდა. პირველი წელი ძალიან რთული იყო, ყოველდღიურად მიწევდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის მასალის მოძიება.*

საინტერესო იყო, რომ ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ ბავშვები, რომლებმაც უკვე იცოდნენ იტალიური ენა, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა მათ ბაზაზე გაიხსნა. ეს იყვნენ ლტოლვილი ბავშვები, რომლებსაც თბილისთან დაძმობილებულმა ქალაქმა პალერმომ შვიდი თვით უმასპინძლა. აღმოჩნდა, რომ ბავშვებმა ძალიან კარგად შეისწავლეს იტალიური ენა. ამიტომ დაიბადა შემდგომ იტალიური სკოლის გახსნის იდეა და გაიხსნა კიდეც ვახტანგ ესვანჯიას (ვის სახელსაც ატარებს სკოლა) და იტალიელების ინიციატივით. გვყავდნენ ისეთი ბავშვებიც, რომლებმაც არ იცოდნენ ენა და ამდენად, ყოველდღიურად, ძალიან დიდი სამუშაო გვიწევდა. როდესაც ჩემი პატარები მეორე კლასში გადადიოდნენ, აუცილებელი იყო ანბანი, რომელიც არ გვქონდა. მანამდე გავეცანი გერმანულენოვან ანბანებს, თუ როგორ იყო შედგენილი და ვეცადე, რაც შეიძლება, სახალისო ყოფილიყო. ზაფხულში დავჯექი და დავწერე ეს წიგნი, რომელსაც წამძღვარებული აქვს ჯანი როდარის სიტყვები: „განა ღირს ბავშვმა ტირილით ისწავლოს ის, რისი სწავლაც სიცილით შეუძლია“. ჩემი მიზანი იყო, რაც შეიძლება სახალისო ყოფილიყო იტალიური ენის სწავლება და, რაც მთავარია, პატარებს შეეგრძნოთ, რა დიდი კულტურის, გენიოსების ენას სწავლობდნენ. ამ წიგნში ეს ყველაფერი ჩადებულია.

ანბანს ჰქვია „სამი ცისარტყელა“, იტალიურში 21 ასოა და ეს ასოები სამ ცისარტყელაში განაწილდა. როდესაც ბავშვები ასოებს სწავლობენ, ყველა ასოს თავისი ფერი აქვს და მერე ამ ფერებით რაღაც ფიგურებს ქმნიან. ვცდილობ, რაც შეიძლება შემოქმედებითად მივუდგე სწავლების პროცესს. წელს სპექტაკლიც დავდგით – ზღაპარი. ბავშვებს სამი ცისარტყელის სამყაროში მეგზურობას უწევს პინოქიო, პერსონაჟი, რომელიც პატარებს ძალიან უყვართ. ვცდილობთ ბავშვებს პირველი კლასიდან იტალიური სამყარო შევუქმნათ – სიმღერ-სიმღერ, თამაშ-თამაშ, ხატვა-ხატვით. ბავშვებს იტალიური ენის გაკვეთილები ძალიან ეხალისებათ და უყვართ. მართალია, სასწავლო პროცესში, ყოველდღე, ახალ-ახალ აღმოჩენებს ვაკეთებთ, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იტალიური ენის სწავლების ძირითადი მეთოდიკა ნამდვილად გვაქვს.

როცა პირველი კლასიდან იტალიური ენის სწავლება გადავწყვიტეთ, ცოტა მეშინოდა, მეორე ენის შესწავლით არ დაგვეზიანებინა ბავშვები, მაგრამ ერთმა ფსიქოლოგმა მითხრა: „ამ ენით ბავშვს ვერ დააზიანებ, საოცრად ჟღერს და ბავშვებს, როგორც ლამაზი მუსიკა, ისე ესმით“.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო, ასევე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრაზე მომზადებული პრეზენტაციები – **„ისტორიულ წყაროზე მუშაობის მეთოდოლოგია“ – მაია ფირჩხაძე, „მსოფლიო რუკების სემიოტიკა“ – ნანა გაბისონია;** *იტალიური ენის კათედრა –* **„ბილინგვური თვალსაჩინოების მნიშვნელობა უცხო ენის სწავლებაში“ – ეკა ლაგვილავა;** *დაწყებითი საფეხურის კათედრა –* **„მათემატიკური წიგნიერების განმავითარებელი აქტივობები და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები“ – დალი ტომარაძე**.

მაია ლაგვილავა, *ვახტანგ ესვანჯიას სახელობის იტალიური სკოლის დირექტორი: „დღევანდელი კონფერენციის ორგანიზატორია ჩვენი სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ლაბორატორია, რომელიც უკვე ათი წელია არსებობს. 2004 წელს გავხსენით ლაბორატორია, დავიწყეთ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და დღემდე აქტიურად ვცდილობთ, დავეხმაროთ პედაგოგებს. პროფესიული განვითარების ლაბორატორია პედაგოგებს ეხმარება არა მხოლოდ სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში, არამედ ისეთ პროგრამებში მონაწილეობაშიც, რომლის ინიციატორები არიან: განათლების სამინისტრო, უნივერსიტეტები, გამომცემლობები. აქედან გამომდინარე, პროფესიული ლაბორატორია ეხმარება პედაგოგებს ამ რესურსების არა მხოლოდ სკოლის შიგნით, საკლასო ოთახებში გამოყენებაში, არამედ სკოლის გარეთ გატანაშიც. ყოველწლიურად ვატარებთ კონფერენციებს, მაგრამ წელს პირველად ვაკეთებთ ამას სკოლის კედლებში. ასეთი აქტიურობისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს პედაგოგებს და, ასევე, პროფესიული განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელს, მანანა ბოჭორიშვილს.“*



სასკოლო აქტივობა

როცა თანადგომას ელიან

სკოლა ის ადგილია, სადაც მომავალი თაობა იზრდება, სწავლობს ავ-კარგის გარჩევას და დიდ ცხოვრებასთან შესახვედრად ემზადება. სკოლის ვალი მხოლოდ ცალკეული საგანმანათლებლო დისციპლინების შესწავლა არაა, მან ზნეობრივი მოქალაქე უნდა ჩამოაყალიბოს, რომელსაც ბავშვობიდან შეეძლება თანადგომის გამოხატვა, სიკეთის ქმნა.

თანადგომა ხომ ის აუცილებელი ბალავარია, რომელზეც დამოკიდებულია განათლების რეფორმის განხორციელება, მისი პრაქტიკული ამოქმედება.

თბილისის №49 საჯარო სკოლამ დაიწყო პროექტი „Human inclusive hug“, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართვას მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებასა და მოქალაქეობრივი ვალის გაცნობიერებაში. პროექტის აქტიური მხარდამჭერია სკოლის დირექტორი **ეკატერინე ცაავა**, რომელიც თავადაა გამორჩეულად კეთილშობილი, მზრუნველი და გულისხმიერი პიროვნება, რომელსაც ენდობა პედაგოგიური კოლექტივი და სასკოლო საზოგადოება. ამის ნათელი მაგალითი იყო ა/წ 21 ნოემბერს ორგანიზებული და საერთო ძალისხმევით გამართული აქცია: იდეის თანახმად, თითოეულ მოსწავლეს უნდა მოეტანა ერთი ცალი კარტოფილი და ერთი ცალი კანფეტი, მაგრამ მოსწავლეებისა და მათი მშობლების გულისხმიერება გასცდა აქციის ფარგლებს და ჩვენ მიერ შეგროვილი სურსათი ბევრად მასშტაბური და მრავალფეროვანი აღმოჩნდა.

აქციის პირველი ადრესატი იყო გაბრიელ ბერის სახელობის მოხუცთა სახლი, რომლის დამფუძნებელია ქალბატონი **მარინა კაციტაძე**. მან გვიამბო, რომ საკუთარი მშობლების ხსოვნის უკვდავსაყოფად შექმნა ეს სავანე, სადაც თბილი და მყუდრო გარემო დაგვხვდა. მისი ბინადარნი, სათნო და კეთილშობილი ხანდაზმულები, მოუთმენლად გველოდნენ. ჩვენი სკოლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა, სპეციალური პედაგოგების – **რუსუდან ხოშარაულისა** და **მარიკა ჯიქიას** – დახმარებით, მოხუცებს თავიანთი ხელით დამზადებული პლაკატები გაუგზავნეს, ხოლო დანარჩენებმა, მათ გასახალისებლად, კონცერტი ჩაატარეს. მწოლიარე მოხუცებიც მოინახულეს, ტკბილეული დაურიგეს და სხვადასხვა სართულზე მდებარე ოთახებში კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს თავიანთი შემოქმედება.

ორი თაობის შეხვედრა, მართლაც რომ, ამაღელვებელი იყო. ის ჟრიამული და ხალისი, რომელიც ჩვენმა პატარებმა შეიტანეს მოხუცთა სახლში, იმედია, დაუვიწყარი აღმოჩნდება თითოეული მონაწილისა და მაყურებლისათვის. მომავალი თაობისთვის კი იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენგან ზრუნვასა და თანადგომას უამრავი ადამიანი ელოდება. ვალდებულნი ვართ, ყველას გავუწოდოთ დახმარების ხელი, ვაგრძნობინოთ, რომ ისინი მარტონი არ არიან, მათზე საზოგადოება ზრუნავს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ ერთდღიანი აქცია არ იქნება. 49-ე საჯარო სკოლა კიდევ მრავალი მსგავსი შინაარსის პროექტის განხორციელებას გეგმავს. ვიმედოვნებთ, რომ მრავალი გამზიარებელი გვეყოლება.

მარიამ კვიატკოვსკაია
49-ე საჯარო სკოლის
საინფორმაციო მენეჯერი

გამოსაშვები გამოცდები

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

ფიზიკა

1. ახალგაზრდებმა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში გაიარეს ჩრდილოეთის მიმართულებით 600 მ, შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით – 800 მ. მათ მიერ გავლილი მანძილის შეფარდება გადაადგილების მოდულთან არის
ა) 1 ბ) 1,4 გ) 5 დ) 7

2. ნახაზზე გამოსახულია სითხიანი მენზურა მასში სხეულის ჩაშვებამდე და ჩაშვების შემდეგ, აგრეთვე იგივე სხეული ელექტრონულ სასწორზე. რისი ტოლია სხეულის სიმკვრივე?



ა) 4 გ/სმ³ ბ) 6 გ/სმ³ გ) 8 გ/სმ³ დ) 9 გ/სმ³

3. ოთხი ერთნაირი საწონი დაკავშირებულია ერთმანეთთან უწონო და უჭიმვადი ძაფით და გადაკიდებულია უწონო ჭოჭონაქზე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. თითოეული საწონის მასაა m. რისი ტოლია საწონების აჩქარება? (ხახუნის ძალები უგულებელყავით.)



ა) g/4 ბ) g/3 გ) g/2 დ) g

4. გარკვეული ძალის მოქმედებით t დროის განმავლობაში m მასის თავდაპირველად უძრავმა სხეულმა შეიძინა p იმპულსი. რა იმპულსს შეიძენს იმავე ძალის მოქმედებით 2t დროში 2m მასის თავდაპირველად უძრავი სხეული?
ა) 0,25p ბ) 0,5p გ) 2p დ) 4p

5. ჰორიზონტალურ ზედაპირზე V სიჩქარით მოძრავი 3m მასის პლასტილინის ბურთულა შეეჯახა m მასის უძრავ პლასტელინის ბურთულას და შეეწება მას. რისი ტოლია ბურთულების სიჩქარე შეჯახების შემდეგ?
ა) V/4 ბ) V/3 გ) V/2 დ) 3V/4

6. ნახაზზე გამოსახული m მასის ერთგვაროვანი ბერკეტი წონასწორობაშია. მარცხენა სხეულის მასაა m. რისი ტოლია საყრდენზე ბერკეტის დაწოლის ძალა?

ა)3mg/2 ბ) 2mg გ) 5mg/2 დ) 7mg/2

7. სხეული თავისუფლად ვარდება დედამიწის ზედაპირზე უსაწყისო სიჩქარით h სიმაღლიდან. რისი ტოლი იქნება სხეულის კინეტიკური ენერგიის შეფარდება პოტენციურ ენერგიასთან ($E_{კინ}/E_{პოტ}$) h/3 სიმაღლეზე? ჰაერის წინააღმდეგობა უგულებელყავით. ნულოვან დონედ დედამიწის ზედაპირი მიიჩნიეთ.
ა) 1/3 ბ) 1/2 გ) 2 დ) 3

8. ჩამოთვლილი სიდიდეებიდან რომელზეა (რომლებზეა) დამოკიდებული სითხეში **მოტივტივე** სხეულზე მოქმედი ამომგდები ძალა?

I. სითხის სიმკვრივეზე II. სხეულის მასაზე III. სხეულის მოცულობაზე
ა) მხოლოდ I-ზე ბ) მხოლოდ II-ზე
გ) მხოლოდ III-ზე დ) I-სა და III-ზე

9. სხეული ტივტივებს წყალში ისე, რომ ჩაძირულია მისი მოცულობის 40%. იპოვეთ სხეულის სიმკვრივე (წყლის სიმკვრივეა 1000 კგ/მ³)
ა) 400 კგ/მ³ ბ) 600 კგ/მ³ გ) 1000 კგ/მ³ დ) 1400 კგ/მ³

10. დიაგრამაზე გამოსახულია ოთხი სხეულის მიერ მიღებული Q სითბოს რაოდენობა და მათი ტემპერატურის Δt ცვლილება. რომელ მათგანს აქვს მაქსიმალური სითბოტევადობა?



ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4

11. სპილენძის ერთ მავთულს აქვს R წინაღობა. რა წინაღობა ექნება სპილენძის მეორე მავთულს, რომელსაც პირველთან შედარებით 2-ჯერ მეტი სიგრძე და 2-ჯერ მეტი განივკვეთის ფართობი აქვს?
ა) R/2 ბ) R გ) 2R დ) 4R

12. მოცემულ სქემაზე 2R წინაღობის გამტარში დენის ძალაა I. რისი ტოლია დენის ძალა R წინაღობის გამტარში?



ა) 0,25 I ბ) 0,5 I გ) 2 I დ) 4 I

13. U ძაბვის ქსელში ჯერ ჩართეს მიმდევრობით შეერთებული 5 ერთნაირი ნათურა, ხოლო შემდეგ პარალელურად შეერთებული იგივე ნათურები. რამდენჯერ შეიცვალა ქსელიდან მოხმარებული სიმძლავრე?
ა) 25-ჯერ შემცირდა ბ) 5-ჯერ შემცირდა
გ) 5-ჯერ გაიზარდა დ) 25-ჯერ გაიზარდა

14. ბრტყელი სარკე მისი ზედაპირის მართობულად მიმართული v სიჩქარით შორდება უძრავ წერტილოვან წყაროს. რა სიჩქარით მოძრაობს წყაროს გამოსახულება?
ა) 0 ბ) v/2 გ) v დ) 2v

15. ნახაზზე მოცემულია მერხევი სხეულის წონასწორობიდან გადახრის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. რისი ტოლია სხეულის რხევის სიხშირე?



ა) 0,25 ჰერცი ბ) 0,5 ჰერცი
გ) 2 ჰერცი დ) 4 ჰერცი

პასუხები:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა									x						x
ბ	x							x			x				
გ		x	x	x			x					x			
დ					x	x				x			x	x	

პედაგოგთა დასახმარებლად

გერმანული ენა

სიმღერები გერმანული ენის გაკვეთილზე

სოფიო დედალამაზიშვილი

მინდა წარმოგიდგინოთ ორი კრეატიული მეთოდი, რომლებიც მოსწავლეებში უნარჩვევა მოსმენის განვითარებაში გვეხმარება. ვიდრე მოსმენაზე გადავალთ, „მუსიკალური გაკვეთილის“ გამოწვევის ფაზაში, შეგვიძლია გამოვიყენოთ თამაში: „Musikalische Reise“, რომელიც მოსწავლეების გააქტიურებასა და მოტივაციაში გვეხმარება. მასწავლებელი წრეზე ალაგებს სკამებს ისე, რომ მათი რაოდენობა მოსწავლეთა რაოდენობაზე ერთით ნაკლები იყოს. ყველანი დგებიან სკამების ირგვლივ და, მუსიკის ჩართვასთან ერთად, იწყებენ წრეზე მოძრაობას. როგორც კი მუსიკა გაჩერდება, იკავებენ ადგილებს და ის, ვინც უადგილოდ დარჩება, ნახევარი წუთის განმავლობაში, მასწავლებლის მიერ დასახელებულ თემაზე ლაპარაკობს და ტოვებს თამაშს. ასე გრძელდება, ვიდრე ერთი არ გაიმარჯვებს.

შემდეგ ყველა იკავებს ადგილს. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, მათი აზრით, რა შეიძლება იყოს ყველაზე კარგი საჩუქარი საყვარელი ადამიანისათვის. მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. მასწავლებელი პასუხებს დაფაზე აფიქსირებს. შემდეგ არიგებს სიმღერის – „Was soll ich ihr schenken“ დაჭრილ ტექსტს ისე, რომ 2 მოსწავლეს ერთი სტრიქონი ხვდება და სთხოვს, სიმღერის დროს, როდესაც საკუთარ წინადადებას მოისმენენ, ყველას დასანახად ზევით ასწიონ. წინადადებები, რომლებიც ტექსტში მეორდება, დანომრილია. მოსწავლეები ყურადღებით უნდა იყვნენ. როდესაც მეორედ ჩაირთვება სიმღერა, თავისი წინადადების გაგებისთანავე, წყვილები წინ გამოვლენ და რიგის მიხედვით დადგებიან ისე, რომ სიმღერის ტექსტი აეწყოს. ბოლოს ყველა მიიღებს სიმღერის მთლიან ტექსტს.

http://www.youtube.com/watch?v=cI700_lri4Y

Die Prinzen
Was soll ich ihr schenken?

Jeden Tag und jede Nacht,
muß ich daran denken,
jeden Tag und jede Nacht,
was soll ich ihr schenken,
was soll ich ihr schenken?
Denn alles, alles hat sie schon,
alles, alles und noch mehr,
alles, alles hat sie schon,
was soll ich da schenken,
ohne sie - ohne sie zu kränken.

‘n Gummibaum? - (hat’se schon!)
Badeschaum? - (hat’se schon!)
‘n rotes Tuch? - (hat’se schon!)
‘n Sparbuch? - (hat’se schon!)
‘n Knutschfleck? - (will’se nich!)
‘n Bumerang? - (da hat’se mich!)
Sogar ‘ne Matratze - die hat’se, hat’se, hat’se!
Was soll ich da schenken,
ohne sie zu kränken?!

Jeden Tag und jede Nacht,
muß ich daran denken,
jeden Tag und jede Nacht,
was soll ich ihr schenken,
was soll ich ihr schenken?

‘n Meerschwein? - (hat’se schon!)
‘n Heiligenschein? - (hat’se schon!)
‘n Ring am Finger? - (hat’se schon!)
so süße Dinger? - (hat’se schon!)
‘n Waschlappen? - (hat’se schon!)
Scheuklappen? - (hat’se schon!)
Ich mach mir heute kein Abendbrot,
ich mach mir solche Sorgen,
woher krieg ich ihr Geschenk,
ich brauche was bis morgen!

Jeden Tag und jede Nacht,
muß ich daran denken,
jeden Tag und jede Nacht,
was soll ich ihr schenken,
ohne sie - ohne sie zu kränken?

Eventuell fiel’s mir gerade ein,
ist allerdings noch streng geheim,
eventuell schenk ich ihr -’ne Nacht mit mir!

მეორე თამაში, რომელიც მოსწავლეთა გააქტიურებას და მოტივაციას უწყობს ხელს არის „Spielloti. მასწავლებელი რთავს მუსიკას და მონაწილეები, საკუთარი სურვილის მიხედვით, გადაადგილდებიან საკლასო ოთახში. ცოტა ხანში აჩერებს მუსიკას და ამბობს, მაგალითად: Ihr seid jetzt Roboter! მონაწილეებმა უნდა მიბაძონ რობოტებს და ისე გადაადგილდნენ, შემდეგ ისევ მუსიკა უკრავს და ისინი ჩვეულებრივ მოძრაობენ. ამას მოჰყვება ახალი მითითებები. მაგალითად: Ihr seid jetzt Schnecken, Elefanten, Gespenster! თამაშის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მასწავლებელზე.

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებად ყოფს ფერადი ბარათების მიხედვით. დაფაზე წერს – „Milliöner“ და კლასს ეკითხება, რა ასოციაციები უჩნდებათ ამ

პედაგოგთა დასახმარებლად

სიტყვის მოსმენისას. როდესაც ყველა გამოთქვამს მოსაზრებას, მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს ურიგებს სიმღერის „Milliöner“ დაჭრილი ტექსტს და ვიდრე სიმღერას მოისმენენ ჯგუფები ტექსტს აწყობენ საკუთარი მოსაზრების მიხედვით, შემდეგ ისმენენ და ასწორებენ. ბოლოს ყველა ჯგუფი აწებებს ტექსტის სწორ ვარიანტს ფლიპ ჩარტის ფურცელზე და ირგვლივ, სიმღერის შინაარსის მიხედვით, ხატავს სურათს, რაშიც, რაც შეიძლება მეტი ელემენტია სიმღერიდან წარმოდგენილი. როცა ყველა მზადაა, პლაკატები მაგრდება კედელზე და მოსწავლეები აფასებენ, რომელ ჯგუფს უფრო შინაარსობრივად ზუსტი ნახატი აქვს.

http://www.youtube.com/watch?v=VAKVsHjmKY4

Die Prinzen
Millionär

Ich wär so gerne Millionär,
Dann wär mein Konto niemals leer,
Ich wär so gerne Millionär,
Millionen schwer,
Ich wär so gerne Millionär.

Ich hab kein Geld hab keine Ahnung,
Doch ich hab ‘n grosses Maul.
Bin weder Doktor, noch Professor,
Aber ich bin stinkend faul.
Ich habe keine reiche Freundin,
Und keinen reichen Freund,
Von viel Kohle hab ich bisher,
Leider nur geträumt.

Was soll ich tun, was soll ich machen,
Bin vor Kummer schon halb krank.
Hab mir schon ‘n paarmal überlegt,
Vielleicht knackst du eine Bank,
Doch das ist leider sehr gefährlich,
Bestimmt werd ich gefasst,
Und ausserdem bin ich doch ehrlich,
Und will nicht in den Knast.

Ich wär so gerne Millionär,
Dann wär mein Konto niemals leer,
Ich wär so gerne Millionär,
Millionen schwer,

Ich wär so gerne Millionär.
Es gibt so viele reiche Witwen,
Die begehrn mich sehr.
Sie sind so scharf auf meinen Körper,
Doch den geb ich nicht her.
Ich glaub das würd ich nicht verkraften,
Um keinen Preis der Welt,
Deswegen werd ich lieber Popstar,
Und schwimm in meinem Geld!

Ich wär so gerne Millionär,
Dann wär mein Konto niemals leer,
Ich wär so gerne Millionär,
Millionen schwer,
Ich wär so gerne Millionär.

Ich wär so gerne Millionär,
Dann wär mein Konto niemals leer,
Ich wär so gerne Millionär,
Millionen schwer,
Ich wär so gerne Millionär.

Ich wär so gerne Millionär,
Dann wär mein Konto niemals leer,
Ich wär so gerne Millionär,
Millionen schwer,
Ich wär so gerne Millionär.

ფრანგული ენა

ავთენტური მასალის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში

მაკა ნადარეიშვილი

შესავალი

წინამდებარე გაკვეთილების კურსის მიხედვით, ამჯერადაც, ვაგრძელებთ ციკლს „ავთენტური მასალის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში“. პირველ ორ შემთხვევაში ავთენტური მასალა იყო სიმღერა, ამჯერად კი შევარჩიეთ ფრანგული ფილმი. მუშაობის პირველი ნაწილი კვლავ ბარათების სისტემით მიმდინარეობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასეთი ტიპის (ბარათების საშუალებით) მუშაობა აღძრავს მოტივაციას, ინტერესსა და სწავლის სურვილს.

სამუშაო პროცესის მეორე ნაწილი გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით მიმდინარეობს. სანამ უშუალოდ მიმდინარეობაზე გადავიდოდეთ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ მეთოდს, მის მიმდინარეობას და მიზანს.

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიშის პროცესი საკმაოდ მარტივია. თავდაპირველად მასწავლებელიგამოყოფს განსახილველ თემას და ადგენს გეგმას. გონებრივი იერიშის დაწყებამდე აუცილებელია ჯგუფში მუშაობის წესებზე შეთანხმება, მაგალითად, ყველა იდეა სწორია და ყველა იდეა უნდა იყო განხილული; გონებრივი იერიშის პროცესში არაფერს განვსჯით და ვაფასებთ; მთავარია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი; ყველა იდეის მიმართ მოსწავლეები და მასწავლებლები არიან ღია.

დასმული საკითხის ირგვლივ მოსწავლეები ასახელებენ რაც შეიძლება ბევრ იდეას, მასწავლებელი კი მათ დაფაზე ან ფლიპჩარტზე ინიშნავს. დროის ლიმიტი წინასწარ არის განსაზღვრული.

მასწავლებელი ხმამაღლა ჩამოთვლის იდეებს ისე, რომ ჯგუფის ყველა წევრისათვის გასაგები იყოს; შემდეგ მოსწავლეები აფასებენ მათ. წყარო:
http://www.mes.gov.ge/uploads/sagzao/masc/metoduri%20mas.pdf

რეკომენდაციები:

1. არ გააკრიტიკო არც ერთი იდეა, რადგან ყველა იდეა ღირებულია
2. რაც უფრო მეტი იდეა წამოვა ჯგუფიდან, მით უკეთესი
3. შევავსოთ და გავაუმჯობესოთ უკვე არსებული იდეები
4. რაც უფრო უჩვეულო და ორიგინალურია იდეა, მით უკეთესი
5. ნუ შეგეშინდებათ, იყავით თამამი, ორიგინალური
6. ჩამოაყალიბეთ იდეა მოკლედ, ლაკონურად და ნათლად

(წყარო - http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=101 სოფიკო ლობჟანიძე)

აქტივობის მიზანი:

სოციო-კულტურული: უცხო კულტურასთან ფამილარიზაცია, ფრანგული ფილმის ნახვის სურვილის აღძვრა.

ენობრივ-კომუნიკაციური: ვარაუდების გამოთქმა, ამბის მოყოლა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, რჩევა-დარიგების მიცემა, დამშვიდება.

ფუნქციურ-ლინგვისტური: თვისებითი ზედსართავების გამოყენება, პიროვნებისა და ადგილის გარემოების აღწერა.

უნარ-ჩვევა: მოსმენის, წერის, კითხვისა და ლაპარაკის უნარების განვითარება.

პირველი აქტივობა:
ბარათებით მუშაობა.

მიზანი: თვისებითი ზედსართავების გამოყენება, პიროვნების აღწერა. ვარაუდების გამოთქმა.

მიმდინარეობა: მოსწავლეებს ურიგდებათ სურათი. აღწერენ პიროვნებას, მის გარეგნობას, გამოთქვამენ ვარაუდებს და ისაუბრებენ მის ცხოვრებაზე.

მეორე აქტივობა:
ბარათებით მუშაობა.

მიზანი: თვისებითი ზედსართავების გამოყენება, პიროვნების აღწერა. ვარაუდების გამოთქმა. ამბის აგება.

მიმდინარეობა: მოსწავლეებს ურიგდებათ სურათი. აღწერენ პიროვნებას, მის გარეგნობას და ისაუბრებენ მის ცხოვრებაზე. ცდილობენ დაინახონ კავშირი პირველსა და მეორე სურათს შორის.

მესამე აქტივობა:
ბარათებით მუშაობა.

მიზანი: თვისებითი ზედსართავების გამოყენება, პიროვნების აღწერა. ვარაუდების გამოთქმა. ამბის აგება.

მიმდინარეობა: მოსწავლეებს ურიგდებათ სურათი. აღწერენ პიროვნებას, მის გარეგნობას და ისაუბრებენ მის ცხოვრებაზე. ცდილობენ დაინახონ კავშირი სურათებს შორის (არსებობის შემთხვევაში). ისაუბრებენ, რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეთ ამ ადამიანებს ერთმანეთთან.

მეოთხე აქტივობა:

მიზანი: ადგილისა და გარემოების აღწერა. ვარაუდების გამოთქმა. ამბის აგება.

მიმდინარეობა: მოსწავლეებს ურიგდებათ სურათი. აღწერენ პიროვნებას, მის გარეგნობას და ისაუბრებენ მის ცხოვრებაზე. ცდილობენ, დაინახონ კავშირი სურათებს შორის.

ბოლოს წინა აქტივობა:

მიზანი: ადგილისა და გარემოების აღწერა. ვარაუდების გამოთქმა. ამბის აგება, რჩევა-დარიგების მიცემა, დამშვიდება.

მიმდინარეობა: მოსწავლეებს ურიგდებათ სურათი. ისაუბრებენ მის ცხოვრებაზე. ცდილობენ, შეთხზან ამბავი ამ სურათებზე დაყრდნობით.

ბოლო აქტივობა:
ბარათებით მუშაობა.

მიზანი: ვარაუდების გამოთქმა. ამბის აგება, წერილის შედგენა.

მიმდინარეობა: მოსწავლეებს ურიგდებათ სურათი. აღწერენ პიროვნებას, მის გარეგნობას და ისაუბრებენ მის ცხოვრებაზე. ცდილობენ, დაინახონ კავშირი პირველსა და მეორე სურათს შორის.

მეორე ნაწილი

ფილმის სათაურზე მუშაობა

პირველი აქტივობა:

მიზანი: ვარაუდების გამოთქმა.

მიმდინარეობა: გონებრივი იერიში: მასწავლებელი დაფაზე წერს ფილმის სათაურს არასრულად „ne fais pas“, სთხოვს მოსწავლეებს საკუთარი ვარაუდებით დაასრულონ ეს ფრაზა. (გონებრივი იერიშის პრინციპით ნებისმიერი აზრი უნდა იყოს დაფიქსირებული).

ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას – ეს რომ ფილმის სათაური იყოს, რა იქნებოდა მისი შინაარსი. მოსწავლეები შესაბამისად გამოთქვამენ ვარაუდებს. (როგორც წინა დავალების შემთხვევისას, აქაც ყველა პასუხი უნდა იყოს ჩანიშნული).

მეორე აქტივობა:

მიზანი: ვარაუდების გამოთქმა წერილობით და ზეპირად.

მიმდინარეობა: მოსწავლეები წყვილებში მოიფიქრებენ ფილმის სიუჟეტს. დავალება სრულდება წერილობით. დავალების დასრულების შემდეგ აუცილებელია, მოხდეს ყველა წყვილის ნამუშევრის პრეზენტაცია.

ფილმის აფიშაზე მუშაობა

მესამე აქტივობა:

მიზანი: ვარაუდების გამოთქმა.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფილმის აფიშას და სთხოვს მათ, 5-10 ფრაზით შეადგინონ ფილმის „პრომო“. მუშაობა მიმდინარეობს წყვილებში. დავალების დასრულების შემდეგ აუცილებელია, მოხდეს ყველა წყვილის ნამუშევრის პრეზენტაცია.

მეოთხე აქტივობა:

მიზანი: წაკითხულის გაგება, მსგავსება-განსხვავების დადგენა.

მიმდინარეობა:
მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის არსებულ „პრომოს“

Synopsis version élaborée:

Comme elle rentre de vacances, Lili, 19 ans, apprend par ses parents que Loïc, son frère jumeau, suite à une violente dispute avec son père, a quitté la maison.

Loïc ne lui donnant pas de nouvelles, Lili finit par se persuader qu’il lui est arrivé quelque chose. Rongée par l’inquiétude, elle cesse de s’alimenter et dépérit dangereusement. On l’hospitalise, mais rien n’y fait, elle se laisse glisser. Quand enfin une lettre de Loïc arrive. Il s’y excuse de l’avoir laissée sans nouvelles, y dit aller de ville en ville, vivre de petits boulots et y fustige son père qu’il tient pour responsable de leur petite vie étriquée, qu’il a décidé de fuir à jamais. Lili se rétablit, sort de l’hôpital et part à la recherche de son frère.

Ce qu’elle va découvrir dépasse l’entendement.

მოსწავლეები კითხულობენ მას და ცდილობენ, დაადგინონ რა მსგავსება და განსხვავებაა მათ მიერ შედგენილ „პრომოსა“ და არსებულს შორის.

ვიზუალიზაცია და „პრომოს“ ნახვა

მეხუთე აქტივობა:

მიზანი: მოსმენა, გაგება, ზეპირი რეპროდუქცია.

მიმდინარეობა: მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ფილმის ვიზუალურ „პრომოს“, თან ინიშნავენ პერსონაჟებს და შინაარსს.

„პრომოს“ ვიზუალიზაციის შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ პიროვნებებზე, მათ განცდებსა და დამოკიდებულებებზე.

პრომოს სანახავად გთავაზობთ ბმულს:
https://www.youtube.com/watch?v=KPUxOO8mXAc

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სტუდენტური წლების ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი ბიბლიოთეკაში გატარებული დროა

რუბრიკის სტუმარია თეონა ვარშალომიძე, ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის სტუდენტი, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი თურქეთში

– თეონა, როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი... გარკვეულწილად, განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ რუბრიკაში მოწვევისთვის. შესანიშნავი რუბრიკაა, რომლის საშუალებითაც საზღვარგარეთ მყოფი ახალგაზრდები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ მომავალ თაობებს, კიდევ უფრო დიდ მოტივაციას უქმნიან, თავადაც მიიღონ განათლება უცხოეთში და იქ მიღებული ცოდნა, ადრე თუ გვიან, საქართველოს მოახმარონ. მოსწავლეობის პერიოდში რამდენიმე სკოლა გამოვიცვალე, ჯერ ბათუმის №6 და №1 საჯარო სკოლებში ვსწავლობდი, შემდეგ რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმში გადავედი, ბოლოს კი ხელვაჩაურის ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლა დავამთავრე. ყველა სკოლამ, მასწავლებლებმა და მეგობრებმა ჩემში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს. სწორედ ბავშვობისდროინდელი მრავალფეროვანი გარემოა მიზეზი დღევანდელი ჩემი მრავალფეროვანი ცხოვრებისა. მომავალი პროფესიის არჩევა ზუსტად არც კი ვიცი რამ განსაზღვრა, ბავშვობიდანვე გადაჭრით ვამბობდი, რომ ექიმი უნდა გამოვსულიყავი. თქვენ წარმოიდგინეთ, ოჯახში ცდილობდნენ სამედიცინო გადამეფიქრებინა და იმ დროისთვის ძალიან პოპულარული „ბიზნესის მენეჯმენტი“ ამერჩია, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შემაცვლევინეს – 2003 წელს ჩავაბარე უმაღლეს სამედიცინო სკოლა „აიეტში“ (დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი) მედიცინის ფაკულტეტზე. 2010 წლიდან სწავლა თურქეთში გავაგრძელე. ამჟამად ანკარაში, ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტში, ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ვსწავლობ.

– რა გზა გაიარე საქართველოდან თურქეთამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად ქალაქი ანკარა?

– საზღვარგარეთ სწავლა, როგორც ყველას, მეც თავიდანვე მინდოდა. ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყოველთვის ვიკვლევდი, სად და როგორ შეიძლებოდა გამეგრძელებინა სწავლა. თურქეთზე იმიტომ შევჩერდი, რომ ოჯახთან და საქართველოსთან სიახლოვე ჩემთვის მნიშვნელოვანია. ამასთანავე, თურქეთი ჩვენს რეგიონში, მედიცინის დარგში, ძალიან განვითარებულია და, რაც მთავარია, იქ სრული დაფინანსების პროგრამაც არსებობს. ასე რომ, ბევრი აღარ მიფიქრია და უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მონაწილეობა მივიღე დაფინანსების პროგრამაში, მოვიპოვე სრული დაფინანსება და ჩამოვედი თურქეთში. ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი, ჯანდაცვისა და მედიცინის სფეროში, თურქეთში, რეიტინგით პირველ ადგილზეა. იმაშიც გამიმართლა, რომ ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი ანკარაშია, რადგან ანკარა სტუდენტური ცხოვრებისთვის შესანიშნავი, მშვიდი და მოწესრიგებული ქალაქია. ჯანდაცვის მენეჯმენტის არჩევის მიზეზი კი ის იყო, რომ საკმაოდ პერსპექტიული, ამ ეტაპზე საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო დარგია. თუმცა, ბავშვობის გეგმებსა და პრაქტიკოს ექიმობაზე უარს მაინც არ ვამბობ და თურქეთის ერთიანი სარეზიდენტურო პროგრამის გამოცდებისთვის აქტიურად ვემზადები. გამოცდის ჩაბარების შემდეგ საქმიანობას პედიატრიაში გავაგრძელებ. ძალიან მიხარია, რომ ქართველი ახალგაზრდებისთვის საზღვარგარეთ სწავლა დღითი დღე პოპულარული ხდება, რადგანაც საქართველო განვითარების ახალ და მნიშვნელოვან ეტაპზეა, ბოლო ათწლეულში დაიწყო თანამედროვე ქვეყნად ჩამოყალიბება და სწორედ სხვა ქვეყნების გამოცდილებების საფუძველზეა შესაძლებელი ყველა იმ რეფორმის განხორციელება, რაც ძლიერი სახელმწიფოს შესაქმნელადაა საჭირო. ამ პროცესში ახალგაზრდების და მით უმეტეს, პროფესიონალი ახალგაზრდების როლი, ძალიან დიდია, ამიტომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა მისასალმებელია.

– მიამბე ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის შესახებ...

– ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის ისტორია, 1954 წელს, ანკარის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ბაზაზე გახსნილი „ბავშვთა ჯანმრთელობის“ კურსით იწყება, რომელსაც ჰაჯეტეპეს დამაარსებელი ექიმი, პროფესორი იჰსან დოღრამაჯი ხელმძღვანელობდა. წლების განმავლობაში აფართოვებდნენ სამუშაო არეალს. 1963 წელს ჰაჯეტეპეს სამედიცინო ფაკულტეტი გაიხსნა, ხოლო 1967 წელს უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო და მედიცინის, ჯანდაცვის მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტებმა დაიწყო ფუნქციონირება. დღეს ჰაჯეტეპეს 2 კამპუსში 14 ფაკულტეტი, 14 ინსტიტუტი, 2 უმაღლესი სკოლა (კოლეჯი), 1 კონსერვატორია, 16 პროფესიული სასწავლებელი და 45 მეცნიერებისა და კვლევის ცენტრი ფუნქციონერებს. სწავლის ღირებულების მხრივ ყველაზე ძვირი მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტებია – თურქეთის მოქალაქეებისთვის 1800$-მდე, ხოლო უცხოელებისთვის თითქმის სამმაგი ღირს.

– როგორ ხდება სტიპენდიების და გრანტების მოპოვება, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები?

– ბოლო 6-7 წლის განმავლობაში თურქეთმა შექმნა საერთაშორისო სტიპენდიების მსგავსი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც თურქეთის ნებისმიერ უნივერსიტეტში სრულ დაფინანსებას გულისხმობს. ამ პროგრამას, ყოველწლიურად, საკმაოდ დიდი გამოხმაურება აქვს. მეც სწორედ ამ პროგრამით ვსწავლობ. სტიპენდიის მოპოვებაც და შენარჩუნებაც საკმაოდ რთულია. ყოველ სემესტრში აფასებენ ყველა სტუდენტის შედეგებს და შეფასების კრიტერიუმები კი საკმაოდ მაღალია.

– ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტში, ალბათ, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ.

– ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტში მართლაც სწავლობდა ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი. ბოლო პერიოდში ყველაზე გახმაურებული და ცნობილი ჰაჯეტეპეს კურსდამთავრებული ოპერატორი-ქირურგი, დოცენტი ომერ ოზქანი მახსენდება, რომელმაც თურქეთში პირველად შეასრულა მთლიანი სახის კანისა და, ერთდროულად, ორივე ხელის გადანერგვის ოპერაცია. ცნობილი კურსდამთავრებულების სია საკმაოდ დიდია, მათი უმეტესობა ჰაჯეტეპეს კონსერვატორიის თეატრისა და კინოს ფაკულტეტის კურსდამთავრებული მსახიობები არიან, ასევე არიან ჟურნალისტები და პოლიტიკოსებიც, უდიდესი კომპანიებისა და ჰოლდინგების მფლობელებიც. სიმართლე გითხრათ, ზოგადად, ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტში მოხვედრა ძალიან რთულია, თითქმის ყველა ფაკულტეტი უმაღლესი ქულებით იღებს სტუდენტებს და, აქედან გამომდინარე, მისი კურსდამთავრებულები თურქეთში დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამებისა და ლექციების შესახებ?

– სასწავლო პროგრამები ყველა უნივერსიტეტში ერთნაირია, საბაკალავრო პროგრამა ოთხწლიანია, სამაგისტრო – 2, დოქტორანტურა – 4, ხოლო მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტები, შესაბამისად, 6 და 5-წლიანია. სწავლის პროცესი საკმაოდ საინტერესოა, სავალდებულო საგნების გარდა შეგიძლია ფაკულტეტის გარეთ სხვა საგნები აირჩიო, რაც უფრო მრავალფეროვანს და სახალისოს ხდის სტუდენტის ცხოვრებას. უნივერსიტეტები კამპუსების პრინციპითაა მოწყობილი, შედიხარ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და იწყება საუნივერსიტეტო ცხოვრება, ერთ სივრცეშია სასწავლო, გასართობი თუ მოსასვენებელი ადგილები. ხშირად ტარდება თურქი და უცხოელი ცნობილი ადამიანების ლექციებიც. ჰაჯეტეპეში კარგად მუშაობს დისტანციური, ონლაინ ლექციების მეთოდიც. რამდენიმეჯერ გვქონდა კიდეც ამერიკელი და ევროპელი ლექტორების ონლაინ ლექციები.

– რა როლი უჭირავს თურქეთში (ანკარაში) საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– ბიბლიოთეკას სტუდენტის ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ, არც თურქეთია გამონაკლისი. ყველა უნივერსიტეტს აქვს თანამედროვედ აღჭურვილი ბიბლიოთეკები, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და ყველა პირობაა შექმნილი კომფორტული მეცადინეობისთვის. გათვალისწინებულია ჯგუფური სამუშაო ადგილებიც. ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტის სამედიცინო ბიბლიოთეკა ცნობილია. ყველაზე დიდი მოთხოვნა კი ანკარის საჯარო ბიბლიოთეკაზეა, სადაც თითქმის ყველა სახის წიგნისა და ინფორმაციის მოპოვება შეგვიძლია. სტუდენტური წლების ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო მოსაგონარი ბიბლიოთეკაში გატარებული დროა.

– გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა სწავლის პარალელურად?

– 2013 წლის აპრილამდე, უცხოელ სტუდენტებს, ოფიციალურად მუშაობის უფლება არ გვქონდა, ამიტომ აქამდე არ მიმუშავია. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრმა სტუდენტმა დაიწყო მუშაობა. სტუდენტობის პერიოდში მუშაობა ერთგვარი გამოცდილება და დამოუკიდებლობისკენ სვლის აუცილებელი პირობაა.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?

– ყოველთვის ვამტკიცებ, საქართველოშიც შეიძლება ისეთი განათლების მიღება, რომ კონკურენცია გაუწიო ნებისმიერ კანდიდატს, რომელსაც უცხოეთში აქვს მიღებული განათლება. უცხოეთში მიღებული განათლება კი არა, ზოგადად მიღებული განათლებაა მნიშვნელოვანი. მე მყავს მეგობრები, რომლებიც საქართველოში არიან და აქვთ არანაკლები წარმატება, ვიდრე სხვებს. ვფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება შეიძლება იყოს ერთ-ერთი პლიუსი, რადგან იქ სტუდენტი, ცოდნასთან ერთად, ბევრ სხვა საჭირო უნარ-ჩვევასაც იძენს, მაგრამ ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

– რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ?

– ყველა ახალგაზრდას, რომელსაც ცოდნის გაღრმავება და კვალიფიკაციის ამაღლება უნდა, შევახსენებ, რომ ამის მიღწევა თანმიმდევრული და კარგად გააზრებული ნაბიჯებით შეიძლება. დაწყება აუცილებლად საქართველოდან უნდა მოხდეს, არ აქვს მნიშვნელობა ეს სკოლა იქნება თუ უნივერსიტეტი, ჯერ შენს ქვეყანაში უნდა იყო გამორჩეული და წარმატებული, გამეორება რომ მოახერხო სხვაგან იმავეს. გარდა ამისა, უნდა გაიაზრონ, რომ საზღვარგარეთ სტუდენტობა დაბრკოლებებსაც გულისხმობს, იქნება სირთულეებიც, გაცილებით მეტი შრომა მოუწევთ, მაგრამ თუ ყველაფერს გადალახავენ და შრომისმიყვარენი იქნებიან, კარგ განათლებას მიიღებენ. დღესდღეობით ეს აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის. ვიმედოვნებ, რომ მომავალში, განათლების სფეროში, ჩვენც ვიქნებით მოთხოვნადი ქვეყანა, ეს სწორედ ჩვენზე, საზღვარგარეთ მყოფ ახალგაზრდებზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა ავითვისოთ და დავნერგოთ ყველა კარგი გამოცდილება, რაც მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშია.

– თეონა, როგორც ვიცი, პროექტის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ თანახმად, აგირჩიეს საქართველოს ახალგაზრდა ელჩად თურქეთში. რა არის პროექტის მთავარი მიზანი?

– დიახ, გავხდი საქართველოს ახალგაზრდა ელჩი თურქეთში, რაც ჩემთვის დიდი სიხარული და უდიდესი პასუხისმგებლობაა საქართველოსა და მათ მიმართ, ვინც ნდობა გამომიცხადა. ერთი წლის მანძილზე მომიწევს ამ საპატიო სტატუსის ტარება და ვეცდები ყველაფერი გავაკეთო, რათა საქართველო თურქეთში უკეთ გაიცნონ. პროექტი „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ხორციელდება. მისი აქტიური მხარდამჭერები არიან დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საგარეო საქმეთა სამინისტრო. პროექტის მთავარი ამოცანაა კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია საქართველოს პოპულარიზაცია. ამ პროექტში მონაწილე ახალგაზრდებისგან ჩამოყალიბდება საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელი. კონკურსი გამოცხადდა ათ ქვეყანაში (აშშ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია,

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

ლიტვა, პოლონეთი, უკრაინა, ჩეხეთი, თურქეთი) მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. უკვე შერჩეულ ახალგაზრდა ელჩებს, ჩვენივე ინიციატივების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი, სპორტული, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტების განხორციელების საშუალება გვექნება, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ქართველი და უცხოელი ახალგაზრდები. ალბათ, უკვე ნოემბრიდან შევუდგებით პროექტების განხორციელებას.

– თურქეთი ტრანსკონტინენტური ქვეყანაა, რომელიც აერთიანებს ევროპული ცხოვრების სტილს და აღმოსავლურ კოლორიტს. უძველესი ისტორიის მქონე, ულამაზესი თანამედროვე და განვითრებული ქვეყანა, რომელიც ევროპასა და აზიას შორის ერთგვარი ხიდია, ცნობილია უამრავი ღირსშესანიშნაობებით და ისტორიული ძეგლებით. რა არის შენთვის განსაკუთრებული და შთამბეჭდავი ამ ქვეყანაში, სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას? მიამბე, როგორ ცხოვრობენ თურქი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– კარგად აღწერეთ თურქეთი და მინდა გითხრათ, რომ ნამდვილად ასეა. სწორედ თურქეთში დაინახავთ ნათლად აზიურ და ევროპულ ცხოვრებასა და აზროვნებაში სხვაობას. ძალიან ბევრ საერთოს ქართველებსა და თურქებში ვერ ვხედავ ხოლმე, მაგრამ შევეგუე თურქეთში ცხოვრებას, მინდა ხაზი გავუსვა იმასაც, რომ არიან სტუმართმოყვარენი, უყვართ დახმარება. შრომისმოყვარეობა და საკუთარი საქმის კეთების სიყვარული იყო ჩემთვის ყველაზე თვალშისაცემი. სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ თურქეთი, სულ რაღაც 100 წელიწადში, ჩამოყალიბდა წარმატებულ თანამედროვე სახელმწიფოდ და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყნად იქცა მსოფლიოში. თურქები ნამდვილი პატრიოტები არიან, ამის დანახვა არ არის ძნელი – დღესასწაულებზე, ყველა აივანზე, სახელმწიფო დაწესებულებებში ფრიალებს თურქეთის დროშა, ჰიმნის გაჟღერებისთანავე იწყებენ ერთხმად სიმღერას. გული მწყდება, რომ ასევე დიდი ისტორიის, სახელმწიფოებრიობისა და გონებრივი შესაძლებლობების მქონე საქართველოსა და ქართველებს, სამწუხაროდ, დღეს თურქეთი და ბევრი სხვა ქვეყანა გვჯობნის. ქართველების შესაძლებლობებში თვითონ თურქები მარწმუნებენ, ყოველთვის აღნიშნავენ, თუ როგორ გამოირჩევიან თურქეთში მცხოვრები ქართველები და რაოდენ წარმატებულები არიან ყველა სფეროში. იმედი მაქვს, საქართველოც მალე აღიდგენს თავის სიძლიერეს.

კერძოდ ანკარა კი სტუდენტური ქალაქია, თურქეთის ყველაზე ცნობილი რამდენიმე უნივერსიტეტი სწორედ ანკარაში მდებარეობს. თავისუფალი დრო შეგიძლია სხვადასხვანაირად გაატარო, ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი. შეგიძლია წახვიდე კინოში, თეატრში, გამოფენებზე, კაფეებსა თუ კლუბებში, დაისვენო ბუნებაში, პარკში. თავისუფალ დროს, როგორც წესი, ქართველ მეგობრებთან ვატარებ. ვსაუბრობთ, ვთამაშობთ ბოულინგს, ფეინტბოლს. დღესასწაულებსა და სხვადასხვა განსაკუთრებულ დღეებში ვიკრიბებით კაფეებში და ყოველთვის ვცდილობთ ქართულად, ტრადიციულად აღვნიშნოთ ყველა ასეთი დღე. დავდივართ პიკნიკებზე, ანკარაში საპიკნიკე ადგილებიც ბლომადაა, ვაწყობთ ექსკურსიებს. ასევე აქტიურად ვმონაწილეობთ თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ ქართულ ღონისძიებებში. მაგალითად, თურქეთში მცხოვრები ქართველები, ყოველწლიურად, მაისში აღნიშნავენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. იმართება ქართული კულტურის საღამოებიც. ყოველთვის ვერ ვახერხებთ, მაგრამ მაინც ხშირად ვესწრებით მსგავს ღონისძიებებს.

თურქი ახალგაზრდების გართობა და ცხოვრება ჩვენგან დიდად არ განსხვავდება. შაბათ-კვირას ქალაქის ცენტრი, სადაც თავმოყრილია გასართობი ადგილები, კაფეები, ყოველთვის ხალხმრავალია ხოლმე. ხშირად ვხვდები თურქ მეგობრებსაც, ვსაუბრობთ საინტერესო თემებზე, ერთმანეთს ვაცნობთ ქართულ და თურქულ ტრადიციებს და თქვენ წარმოიდგინეთ ქართულსაც ვასწავლი ხოლმე მათ. ერთ-ერთ თურქ მეგობარს რომ ვუთხარი, თურქულ თეატრში არ ვყოფილვარ და წასვლა მინდა-მეთქი, მეორე კვირასვე დამპატიჟა და მას შემდეგ ხშირად დავდივარ მასთან ერთად თეატრში. დავპირდი, რომ აუცილებლად ქართულ თეატრშიც წავიყვან. ანკარა, როგორც აღვნიშნე, სტუდენტური ქალაქია და იქ, უცხოელი სტუდენტების გარდა, თურქეთის სავადასხვა ქალაქიდანაც ძალიან ბევრი სტუდენტია. ისინიც, ჩვენს მსგავსად, ეგუებიან ახალ ქალაქს, გარემოს. როგორც ჩვენთან, თურქეთშიც დასაქმების პრობლემაა, ახალგაზრდებს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ძალიან უჭირთ სამსახურის პოვნა. აქ ყველაზე პოპულარული მედიცინისა და ინჟინერიის ფაკულტეტებია. ამ ფაკულტეტებზე მოხვედრა და სწავლა ძალიან ძნელია, თუმცა სამსახურის შოვნა შედარებით მარტივია.

ჩემს სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, 5-6 წლის შემდეგ აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, მანამდე კი თურქეთში ვაპირებ მუშაობას, ეს აუცილებელია სრულ პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის და ასევე ფინანსური წინსვლისთვის.

– საქართველოდან არც ისე შორს ხარ, მაგრამ მაინც რა გენატრება ყველაზე მეტად?

– გულწრფელად გეუბნებით, საქართველოს საზღვარს გადავდივარ თუ არა, უკვე საქართველო მენატრება, ყველაზე მეტად – მშობლები, ჩემი სახლი, ჩემი ქალაქი, ქართული ლაპარაკი ქუჩებში და ყველაფერი ქართული. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ საქართველოსთან ახლოს ვარ და ძალიან ხშირად, 1-2 დღიან დასვენებებზეც კი, შემიძლია ჩამოსვლა. თურქეთის არჩევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც სწორედ ეს იყო.

– დაბოლოს, როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს, როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს? რა არის ის, რაც თურქეთში გატარებულმა პერიოდმა მოგცა, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?

– გეთანხმებით, რომ საზღვარგარეთ ცხოვრებისას ბევრად სხვანაირად უყურებ ცხოვრებას. ნამდვილად სხვანაირად ფიქრობ სამშობლოზე, ფიქრობ, რა უნდა გააკეთო, რომ გაუმჯობესო შენი ქვეყნის, ხალხის, ოჯახის ცხოვრება. თურქეთში გატარებულმა წლებმა დამანახა ის, რომ საქართველოს და ქართველებს დიდი პოტენციალი გვაქვს, ვიყოთ წარმატებული ქვეყანა, მაგრამ ყველამ ერთად უნდა ვისწავლოთ საქმის კეთება და არა მითითება, თუ როგორ გავაკეთოთ ესა თუ ის საქმე. აუცილებლად უნდა ვიყოთ დამოუკიდებელნი, მაგრამ უნდა შეგვეძლოს თანაცხოვრება ბევრ სხვადასხვა შეხედულების ადამიანთან, შეგვეძლოს თავის გატანა, მაგრამ არა სხვისი დაჩაგვრით ან უკან დაწევით, არამედ საკუთარი წინსვლითა და შესაძლებლობებით. უნდა ვიბრძოლოთ მაქსიმალურისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც თურქეთში ცოდნასთან და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ერთად შევიძინე, არის ჩემი ქართველი და თურქი მეგობრები.

მიგვიღებს თუ არა ევროპა ისეთებს, როგორიც ვართ, ერთმნიშვნელოვნად გიპასუხებთ, რომ აუცილებლად მოგვიწევს ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა დავკარგოთ ჩვენი იდენტობა, უბრალოდ სხვებისას უნდა მოვარგოთ.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

სასკოლო აქტივობა

ექსკურსია მესტიაში

საქართველო ულამაზესი ქვეყანაა მსოფლიოს ქვეყნებს შორის. მას მდიდარი ისტორიული წარსული აქვს, რომელიც ასე გვეამაყება, ხოლო უცხოელებს დიდი ინტერესით იზიდავს.

სვანეთი საქართველოს მშვენებაა. ამა წლის ოქტომბრის ერთ მზიან და თბილ დღეს გადავწყვიტეთ ექსკურსია მოგვეწყო ჩვენი რაიონის უკეთ გასაცნობად. ლახამულის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა დილით ადრე მოვიყარეთ თავი სკოლის ეზოში და გეზი დაბა მესტიისკენ ავიღეთ. მხიარულ განწყობაზე მყოფთ, კიდევ მეტად გვახალისებდა გზადაგზა ლამაზი ხედების ნახვა. გზის ორივე მხარეს კარგი მეგზურივით შემოდგომის ტყე მიგვაცილებდა. ათასნაირი ფერები თვალს გვჭრიდა და სილამაზით გვატყვევებდა.

მალე მესტიაში ჩავედით. ჩვენი პირველი გაჩერების პუნქტი ცნობილი მთამსვლელის – მიხეილ ხერგიანის სახლ-მუზეუმის ნახვა იყო. მუზეუმის პირველ სართულზე ჩვენი წინაპრების ყოფის ამსახველი საცხოვრისი დავათვალიერეთ. მეორე სართული კი მთლიანად მიხეილ ხერგიანის ცხოვრების ამსახველ ექსპონატებს უკავია. ხომ ვიცოდით ვინ იყო ხერგიანი, მაგრამ ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა და გულში სევდაც დაგვიტოვა. თურმე რა დიდებული ქართველი გამოჰკლებია საქართველოს უდროოდ. შემდეგ ეროვნულ მუზეუმში გადავინაცვლეთ. ლამაზ და კომფორტულ შენობაში განლაგებულ ექსპონატებს თითქოს შორეული წარსულიდან დღევანდელობამდე ისე მოვყავდით, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა გამოიარეს. ჩვენი მეგზური, ქალბატონი **დარიკო ჟორჟოლიანი**, ძალზე საინტერესოდ გვიკვლევდა გზას ისტორიის ლაბირინთებში. ძალიან შთამბეჭდავი იყო ეს ყველაფერი.

ემოციებით დატვირთულებმა ჰაწვალის საბაგიროსკენ ავიღეთ გეზი და მალე უმშვენიერესი კადრების მხილველნიც გავხდით. საბაგიროდან შაბათ-კვირას ქალაქის ცენტრი, სადაც თავმოყრილია გასართობი ადგილები, კაფეები, ყოველთვის ხალხმრავალია ხოლმე. ხშირად ვხვდები თურქ მეგობრებსაც, ვსაუბრობთ საინტერესო თემებზე, ერთმანეთს ვაცნობთ ქართულ და თურქულ ტრადიციებს და თქვენ წარმოიდგინეთ ქართულსაც ვასწავლი ხოლმე მათ. ერთ-ერთ თურქ მეგობარს რომ ვუთხარი, თურქულ თეატრში არ ვყოფილვარ და წასვლა მინდა-მეთქი, მეორე კვირასვე დამპატიჟა და მას შემდეგ ხშირად დავდივარ მასთან ერთად თეატრში. დავპირდი, რომ აუცილებლად ქართულ თეატრშიც წავიყვან. ანკარა, როგორც აღვნიშნე, სტუდენტური ქალაქია და იქ, უცხოელი სტუდენტების გარდა, თურქეთის სავადასხვა ქალაქიდანაც ძალიან ბევრი სტუდენტია. ისინიც, ჩვენს მსგავსად, ეგუებიან ახალ ქალაქს, გარემოს. როგორც ჩვენთან, თურქეთშიც დასაქმების პრობლემაა, ახალგაზრდებს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ძალიან უჭირთ სამსახურის პოვნა. აქ ყველაზე პოპულარული მედიცინისა და ინჟინერიის ფაკულტეტებია. ამ ფაკულტეტებზე მოხვედრა და სწავლა ძალიან ძნელია, თუმცა სამსახურის შოვნა შედარებით მარტივია.

ჩემს სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, 5-6 წლის შემდეგ აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, მანამდე კი თურქეთში ვაპირებ მუშაობას, ეს აუცილებელია სრულ პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის და ასევე ფინანსური წინსვლისთვის.

– საქართველოდან არც ისე შორს ხარ, მაგრამ მაინც რა გენატრება ყველაზე მეტად?

– გულწრფელად გეუბნებით, საქართველოს საზღვარს გადავდივარ თუ არა, უკვე საქართველო მენატრება, ყველაზე მეტად – მშობლები, ჩემი სახლი, ჩემი ქალაქი, ქართული ლაპარაკი ქუჩებში და ყველაფერი ქართული. ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ საქართველოსთან ახლოს ვარ და ძალიან ხშირად, 1-2 დღიან დასვენებებზეც კი, შემიძლია ყალმით ნახატივით მოჩანდა ჩვენი კუთხის სიმშვენიერე, ენით აუწერელი სილამაზე. ბუნებაში პიკნიკიც მოვაწყვეთ. სახლიდან წამოღებული საგზლით მშვენიერი სუფრაც გავშალეთ და კარგადაც მოვილხინეთ.

ამ ლამაზი და შინაარსიანად გატარებული დღის შთაბეჭდილებები არასოდეს წაიშლება ჩემი და ჩემი მოსწავლეების მეხსიერებაში.

ლუარა სარიშვილი

ПРОФЕСИОНАЛТА КЛАСИ

ნახევარი საუკუნის შემდეგ

უჩვეულოდ დაიწყო 17 ოქტომბრის სასწავლო დღე წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიის საჯარო სკოლაში, რადგან იმ დღეს აქ, მოსწავლე მასწავლებელს სახელობით კაბინეტს უხსნიდა, თითქმის, ნახევარი საუკუნის შემდეგ. ვფიქრობ, ეს არა მარტო იმ 150-წლოვანი ისტორიის მქონე სკოლისთვის იყო სიახლე, არამედ საერთოდ ქართული სივრცისთვისაც.

კაბინეტი გემოვნებით იყო მოწყობილი. დიდი კლასიკოსების პორტრეტებსა და ხატოვან გამონათქვამთა ფონზე მოკრძალებით გვიღიმოდა ჭაღარა, სათნო სახის, ყველასათვის საყვარელი ვენერა მასწავლებელი – ქალბატონი **ვენერა კუცია**. „დაგვიანებული ყვავილები“ – ეწერა იმ ულამაზეს თაიგულს, ქალბატონ ვენერას სურათს რომ ამშვენებდა. თუმცა, რატომ დაგვიანებული? მადლიერების გამოხატვა რაც უფრო დაგვიანებულია, მით უფრო დასაფასებელია. 50 წელი სიყვარულის გულით ტარება ხომ უკვდავებაა. უკვდავი იყო იმ დღეს ქალბატონი ვენერა და ბედნიერი მისი კოლეგები, შვილები, შვილიშვილები...

იდეის ავტორი და შემსრულებელი, მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის 124-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **იზო სამუშია** იყო, რომლის სახელს არაერთი წამოწყება უკავშირდება. ქალბატონი იზო თავად გასცემს სიყვარულს და აღსაზრდელებსაც აზიარებს ამ მადლს. ამიტომაც დაუვიწყარია, მოსწავლეებთან ერთად, მის მიერ ორგანიზებული მიხეილ ჯავახიშვილის, გოდერძი ჩოხელის, ვაჟა-ფშაველას, ეკა ბაქრაძის, მირზა გელოვანისა და რევაზ ინანიშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები მათი ოჯახის წევრებთან; ცოცხალი დიალოგი თანამედროვე მწერლებსა და პოეტებთან; მისი და მისი მეგობრების დამსახურებაა, რომ სკოლა ატარებს მიხეილ ჯავახიშვილის სახელს და კაბინეტი ზღვა მასალითაა აღჭურვილი, რომელიც თავშესაფარია ყველა მასწავლებლისა და მოსწავლისათვის, ვინც იცის ქართული სიტყვის მადლი.

სოფელ ლიის საჯარო სკოლის პედაგოგები

ქალბატონი იზო მადლობას უხდის ლიის საჯარო სკოლის დირექტორს **ელგუჯა როგავას,** ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგეს, ქალბატონ **დარეჯან ქარდავას**, სასწავლო ნაწილის გამგეს **ინგა გოგილავას**, მასწავლებლებს, ყველას, ვინც გაიზიარა მისი სიხარული და ხელი შეუწყო ამ კეთილი საქმის განხორციელებაში.

ღმერთმა გვიმრავლოს ჭეშმარიტი მასწავლებლებიც და მათი ღვაწლის დამნახველ-დამფასებლებიც!

მაკლინა კოპლატაძე
მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის 124-ე საჯარო სკოლის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი

ИНФОРМАЦИА

2013-2014 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროს მედლები გადაეცათ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** "განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროს მედლები გადასცა. 2014 წელს, საქართველოს მასშტაბით, 1208 ოქროსა და 872 ვერცხლის მედალი გაიცემა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ოქროს მედლებით თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 400-მდე წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა.

მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10 დამრგვალების გარეშე და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

2013-2014 სასწავლო წლის წარჩინებით სკოლადამთავრებულებისათვის სახელობითი ოქროსა და ვერცხლის მედლები დამზადდა. სახელისა და გვარის გარდა მათზე მითითებულია შესაბამისი წელი.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს, მათ შორისაა წარჩინებული კურსდამთავრებულთა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების პროგრამა. პროგრამის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა.

ქართული დელეგაცია კონრად ადენაუერის ფონდს ეწვია

კონრად ადენაუერის ფონდის მიწვევით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შედგა ქართული დელეგაციის სამუშაო ვიზიტი, რომლის მიზანს სამოქალაქო განათლების გაძლერების კუთხით გერმანული გამოცდილების და სიახლეების გაზიარება წარმოადგენდა.

აღნიშნული ვიზიტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადენაუერის ფონდს შორის ხელმოწერილი თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა.

ქართულ დელეგაციას შეადგენდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოში ადენაუერის ფონდის წარმომადგენლები.

შეხვედრები გაიმართა გერმანიის სამოქალაქო განათლების ინსტიტუციურ ორგანიზაციებთან: სამოქალაქო განათლების ფედერალურ და რეგიონულ ბიუროებთან, საუნივერსიტეტო წრეებთან და სამოქალაქო განათლების დამოუკიდებელ ექსპერტებთან.

ბირთვული კვლევების ევროპის ცენტრს ქართველი მოსწავლეები ეცნობიან

შვეიცარიაში, ცერნის (CERN) ცენტრალურ ლაბორატორიაში, საქართველოდან 9 მოსწავლე და 3 პედაგოგი გაემგზავრა. ეს მოსწავლეები, 2014 წლის 1-5 დეკემბერს ფიზიკის, მათემატიკისა და ქიმიის კონკურსებში პირველ ადგილზე გასული გუნდების წევრები არიან. CERN-ში მოსწავლეები ქართველ და უცხოელ მეცნიერებს შეხვდებიან, მათ მასტერკლასებს დაესწრებიან, უახლეს ტექნოლოგიებს, ახალ აღმოჩენებს და იმ მნიშვნელოვან პროექტებს გაეცნობიან, რაზეც ცერნის მეცნიერები მუშაობენ.

პროექტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების პროგრამის“ ფარგლებში ახორციელებს და მისი მიზანია: მოსწავლეთა ინტერესის გაზრდა ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ, მოსწავლეთა და პედაგოგთა მოტივაციის ამაღლება და ამ დისციპლინათა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება.

გუნდური კონკურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, სამინისტროს დაკვეთით, ახალგაზრდა შემოქმედთა სამეცნიერო ცენტრის „პროგრესის“ მიერ ჩატარდა. კონკურსების პრინციპი განსხვავდებოდა ტრადიციული ოლიმპიადების ფორმატისგან. საკონკურსო დავალების შესრულება მოსწავლისაგან მოითხოვდა გუნდურ მუშაობას, კვლევითი და კრეატიული უნარების გამოყენებას, თეორიული და ექსპერიმენტული სამუშაოების განხორციელებას და მიზნად ისახავდა დასახული ამოცანის/პრობლემის გადაჭრის გზის შემუშავებასა და რეალიზებას.

ფიზიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში მონაწილეობა მიიღეს IX კლასის მოსწავლეებმა, ხოლო მათემატიკაში – VII-IX კლასის მოსწავლეებმა. კონკურსების შედეგად, თითოეულ საგანში 3-3 გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა (გუნდი შედგებოდა 3 მოსწავლისა და ერთი ხელმძღვანელი პედაგოგისაგან).

სამინისტროს გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნულ კონკურსებში გამარჯვებული გუნდები საერთაშორისო საგანმანათლებლო ექსკურსიებში (ცერნის ლაბორატორია და კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი) მონაწილეობით დაჯილდოვდნენ.

ხარისხის მართვის ევროპული მოდელის ტრენინგი გაიმართა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ხარისხის მართვის/მენეჯმენტის ევროპული მოდელის (EFQM Excelence Model) დანერგვის მიზნით, გაიმართა რიგით მეორე ტრენინგი – „გზა სრულყოფისკენ“.

EFQM-ის მოდელი ეფუძნება ევროპულ ფასეულობებს, რომლის მიზანია დაეხმაროს საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა EFQM-ის მოდელის გამოყენებით.

ხარისხის მენეჯმენტის/მართვის ევროპული ფონდი წარმოადგენს არამომგებიან/არაკომერციულ, წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომელიც 1988 წელს ქალაქ ბრიუსელში დაარსდა. ფონდში გაწევრიანებულია 50 სხვადასხვა სექტორში მომუშავე 30 000-ზე მეტი ევროპული ორგანიზაცია და წარმატებით იყენებენ მოცემულ მოდელს საკუთარ საქმიანობაში. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს პროექტის ფარგლებში მონაწილე საჯარო და კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

ინიციატივები და გამოწვევები ელექტრონულ სწავლებაში

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით, ორდღიანი ფორუმი გაიმართა თემაზე: ინიციატივები და გამოწვევები ელექტრონულ სწავლებაში – სწავლა ახალი მედია-საშუალებებით. ფორუმი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** გახსნა.

ფორუმში მონაწილეობდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრების წარმომადგენლები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების მიერ მომზადებული სერტიფიცირებული ტრენერები და ელექტრონული სწავლების სპეციალისტები. მონაწილეებმა საკუთარი პროგრამები და მათ ორგანიზაციებში ელექტრონული სწავლების განვითარების შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს, ისაუბრეს პრობლემებზე და მონაწილეობა მიიღეს ძირითადი თემის გარშემო წარმართულ დისკუსიებში.

საქართველოსთან ელექტრონული სწავლების სფეროში ექვსწლიანი თანამშრომლობის განმავლობაში, გერმანულმა ორგანიზაციამ (GIZ) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სწავლების ამ მიმართულების განვითარებაში. მათ მიერ შემოთავაზებული ზოგადი პრაქტიკული კურსი საქართველოს ყველა დიდი უნივერსიტეტის, ცალკეული სამინისტროების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებმა გაიარეს. შეიქმნა რამდენიმე ათეული საპილოტე პროგრამა.

დღეს, როდესაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აპირებს კიდევ უფრო გააფართოვოს ახალი მედიის გამოყენებით სწავლების არეალი და მოიცვას განათლების საშუალო საფეხური, შედეგიანი იქნება იმ ადამიანური რესურსების გამოყენება, რომლებიც გადაამზადა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ). მათ აქვთ როგორც სპეციალისტთა მომზადების, ისე ახალი მედიით გამდიდრებული კონტენტის შექმნის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

ახალი გამოწვევების წინაშე მდგარ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, განსაკუთრებით სჭირდება მასწავლებელთა კომპეტენციების ამაღლება და ყველა არსებული რესურსის მობილიზება, რომ ღირსეულად შეხვდეს დროის ყველა მოთხოვნას.

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I, II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ჭიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან

ინტელექტი სკოლას

ფასი – 15 ლარი

გამომცემლობა „დიოგენე“

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბერიოზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია
განახლებული
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 8 ლარი

ფიზიკა
განახლებული
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
ფასი – 8 ლარი

გეოგრაფია
განახლებული
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 8 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე, დ. ბარამიძე, ქ. მაღრაძე, ნ. სიხარულიძე, მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ბიოლოგია
აბიტურიენტებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მაღრაძე, დ. ნაზირიშვილი
სიახლე
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK